


მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №21(59) 2013 წ. 1-15 ნოემბერი ფასი 50 თეთრი

# 27 ოქტომბრის არჩევნების შედეგები საგარეჯოს მუნიციპალიტეტში

| უბნები | ერთიან სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა | სპეციალურ სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა | არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა | მიღებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა | 1. თამაზ ბიბილური | 2. გიორგი ლილუაშვილი | 3. სერგო ჯავახიძე | 4. კობა დავითაშვილი | 5. დავით ბაქრაძე | 6. აკაკი ასათიანი | 7. ნინო ჭანიშვილი | 8. თეიმურაზ ბობოხიძე | 9. შალვა ნათელაშვილი | 10. გიორგი თარგამაძე | 11. ლევან ჩაჩუა | 12. ნესტან კირთაძე | 13. გიორგი ჩიხლაძე | 14. ნინო ბურჯანაძე | 15. ზურაბ ხარატიშვილი | 16. მიხეილ სალუაშვილი | 17.ქართლოს ღარიბაშვილი | 18. მამუკა ჭოხონელიძე | 19. ავთანდილ მარგიანი | 20. ნუგზარ ავალიანი | 21. მამუკა მიქელაშვილი | 22. თეიმურაზ მჟავია | 41.გიორგი მარგველაშვილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გაღმაუბანი | 731 | 8 | 367 | 650 | | | | 3 | 72 | | 1 | | 12 | 6 | | | 1 | 46 | | | | | | | | | 220 |
| 2. ბაზრისუბანი | 1218 | 4 | 641 | 1150 | | | | 7 | 102 | | 1 | | 15 | 10 | 5 | | | 71 | 1 | | | | 1 | | 1 | | 412 |
| 3. ზემოუბანი | 1150 | 9 | 557 | 1050 | 1 | | | 3 | 78 | | 1 | | 15 | 11 | 1 | | | 55 | | 1 | | | | | | | 389 |
| 4. ცენტრის უბანი | 848 | 9 | 382 | 800 | | | | 2 | 60 | | | | 16 | 11 | | 1 | 1 | 51 | | | | | | | | | 235 |
| 5. ქვემოუბანი | 701 | 9 | 332 | 650 | | 2 | | 1 | 55 | | | | 11 | 8 | | | | 39 | 1 | 1 | | | | | | 1 | 212 |
| 6. მეურნეობის უბანი | 1312 | 5 | 588 | 1250 | | | 1 | 4 | 106 | | | | 21 | 6 | | | | 86 | 1 | | | | | | | | 355 |
| 7. სადგურის უბანი | 979 | 9 | 388 | 900 | | | | 2 | 68 | | | 1 | 13 | 7 | 5 | 1 | 1 | 54 | 1 | | | | | | | 2 | 233 |
| 8. გარეჯის მეურნეობის უბანი | 1119 | 5 | 564 | 1100 | | | | 3 | 120 | | 2 | | 28 | 7 | | | | 80 | 1 | | 2 | | | | | | 310 |
| 9. სპორტდარბაზის უბანი | 1035 | 11 | 459 | 950 | | | | 4 | 68 | | | | 18 | 7 | | | | 50 | | 1 | | | | | | 1 | 305 |
| 10 რკ. სადგ. უბანი | 1036 | 5 | 499 | 950 | | | | 8 | 171 | | | | 15 | 6 | 1 | | | 41 | 1 | 2 | | | | | | | 249 |
| 11. გომბორი | 856 | 2 | 341 | 750 | | | | 3 | 38 | 1 | 1 | 1 | 9 | 2 | | | | 48 | 1 | 1 | 1 | | | | | | 226 |
| 12. კოჭბანი | 287 | 2 | 136 | 300 | | 1 | | | 32 | | | | 15 | 2 | | | | 14 | | | | | | | | 1 | 67 |
| 13. უჯარმა | 369 | 72 | 306 | 450 | | | | 1 | 89 | | | | 17 | 3 | | | | 51 | | | | | | | | | 143 |
| 14. ხაშმი | 1309 | 5 | 643 | 1250 | | | | 2 | 87 | 1 | 1 | | 31 | 9 | | 1 | | 44 | 2 | 1 | | | | | | | 449 |
| 15. პატარძეულის კულტსახლის უბანი | 960 | 7 | 445 | 900 | | | | 1 | 47 | | | | 6 | 11 | 1 | | | 47 | | 1 | 1 | | | | | | 326 |
| 16. პატარძეულის სკოლის უბანი | 1397 | 3 | 690 | 1350 | | 1 | | 2 | 73 | 1 | | | 30 | 4 | 1 | | | 72 | 1 | | | | | 1 | | | 492 |
| 17. წყაროსთავი | 564 | 5 | 327 | 500 | | | | | 51 | | | | 18 | 6 | | | | 35 | | | | 1 | | | | | 213 |
| 18. ნინოწმინდის სკოლის უბანი | 810 | 5 | 435 | 750 | 1 | | | 2 | 64 | | | | 18 | 2 | | | | 43 | | | | | | | | | 298 |
| 19. ნინოწმინდის საბავშვო ბაღის უბანი | 914 | 6 | 498 | 850 | 3 | | | 4 | 70 | | | | 20 | 7 | | | 1 | 37 | | | | | | | 2 | 2 | 348 |
| 20. გიორგიწმინდის სპორტდარბაზ. უბანი | 1189 | 5 | 623 | 1150 | | | | 3 | 105 | | 1 | 2 | 25 | 5 | | | | 61 | 1 | | | | | 1 | | | 411 |
| 21. გიორგიწმინდის საბავშვ. ბაღის უბანი | 829 | 4 | 448 | 800 | | | | 4 | 90 | 1 | | 2 | 24 | 7 | | | | 22 | | 1 | | | | | 1 | | 293 |
| 22. ქვემო სამგორის უბანი | 94 | 12 | 54 | 100 | | 1 | | | 16 | | | | 1 | | | | | 1 | | | | | | | | | 34 |
| 23. სათაფლე | 89 | 7 | 62 | 100 | | | | 2 | 8 | | | | 1 | | | 1 | | 5 | | | | | | | | | 44 |
| 24. თოხლიაური | 870 | 2 | 426 | 850 | | | | 1 | 74 | 2 | | | 16 | 3 | | 1 | | 39 | | | | | | | | | 289 |
| 25. მანავის ზემო უბანი | 915 | 2 | 319 | 850 | | 1 | 1 | 3 | 62 | | 1 | | 16 | 6 | | 1 | | 31 | | | | | | | | 1 | 193 |
| 26. მანავის გორხანის უბანი | 1111 | 14 | 507 | 1050 | 1 | 1 | | 5 | 59 | | | | 28 | 22 | | 1 | | 43 | 1 | | | | | | | | 330 |
| 27. მანავის ბურდიანის უბანი | 522 | 5 | 203 | 500 | | | | 4 | 45 | 1 | | | 14 | 6 | | | | 34 | 2 | 1 | | | 1 | 1 | | | 89 |
| 28. დიდი ჩაილური | 781 | 6 | 460 | 750 | | | | 4 | 44 | | | 1 | 4 | 5 | 1 | | 1 | 41 | | | | | | | | | 350 |
| 29. პატარა ჩაილური | 780 | 2 | 471 | 750 | | 1 | | 9 | 109 | | | | 11 | 9 | | | | 60 | 1 | | | 1 | | | | 1 | 265 |
| 30. კაკაბეთის განახლ. უბანი | 1318 | 4 | 598 | 1250 | | 2 | | 4 | 64 | | | | 14 | 2 | 1 | | | 22 | 1 | | 1 | | | | | | 479 |
| 31. კაკაბეთის საკრ. უბანი | 1321 | 6 | 626 | 1300 | | | 1 | 9 | 42 | | | | 15 | 1 | | | | 21 | 1 | | | | | | | | 529 |
| 32. ვერხვიანი | 335 | 4 | 235 | 350 | | | | 1 | 23 | | | | 1 | 9 | | | | 21 | | | | | | | | | 177 |
| 33. ყანდაურა | 980 | 4 | 511 | 950 | | 1 | 1 | 3 | 61 | 1 | | | 17 | 5 | | | 1 | 67 | 1 | | 1 | | | | 1 | | 339 |
| 34. ბადიაური | 1256 | 1 | 606 | 1200 | | | | 5 | 94 | 1 | 1 | | 29 | 6 | | | | 64 | 1 | | | | | | | | 394 |
| 35. მზისგული | 505 | 2 | 302 | 500 | | 1 | | 2 | 43 | | | | 7 | 14 | | | | 21 | | 1 | 1 | | | | 1 | | 208 |
| 36. შიბლიანი | 415 | 2 | 287 | 450 | | 1 | | | 58 | | 1 | | 8 | 7 | | | | 12 | | | | | | | | | 197 |
| 37. უდაბნო | 569 | 27 | 313 | 550 | | | | 3 | 27 | | 1 | | 8 | 3 | | | 1 | 32 | 1 | | | | 4 | 2 | | 1 | 223 |
| 38. დუზაგრამის სკოლის უბანი | 1234 | 8 | 211 | 1000 | | | | 1 | 41 | | | | | 1 | | | | 5 | 1 | | | | | | | | 149 |
| 39. დუზაგრამის საკრ. უბანი | 994 | 9 | 191 | 800 | | | | | 70 | | 1 | | | | | | | 5 | | | | | | | | | 108 |
| 40. ქეშალოს სკოლის უბანი | 859 | 6 | 108 | 750 | | | | | 29 | | | | | | | | | 22 | | | | | | | | | 56 |
| 41. ქეშალოს ამბულატ. უბანი | 947 | 9 | 147 | 850 | 1 | | | | 64 | | 2 | | 1 | | | | 1 | 15 | | | | | | | 1 | | 57 |
| 42. მუღანლოს სკოლის უბანი | 1450 | 8 | 302 | 1300 | 1 | | | | 26 | 1 | | | | 1 | | | | 19 | | | | 1 | | | | 1 | 244 |
| 43. მუღანლოს ამბულატ. უბანი | 1184 | 13 | 114 | 1050 | | | | | 26 | | 1 | | 1 | | 1 | | 1 | 19 | 1 | 1 | | | | | | | 54 |
| 44. ზემო ლამბალოს | 1630 | 8 | 222 | 1450 | | 2 | | | 68 | | | | | | | | | 9 | 1 | | | | | | | | 131 |
| 45. ზემო ლამბალო | 1650 | 11 | 225 | 1500 | 1 | 1 | | | 115 | 1 | | | 1 | | | | | 12 | | 2 | | | | | | | 75 |
| 46. ქვემო ლამბალო | 1500 | 9 | 205 | 1350 | | | 1 | 1 | 50 | 1 | | 1 | | | 1 | | 2 | 7 | | | | | | | | | 129 |
| 47. თულარი | 1346 | 7 | 142 | 1200 | | | | | 16 | | | | | 1 | | | | 35 | | | | | | | | | 81 |
| 47. თულარი | 1334 | 10 | 326 | 1200 | | | | 2 | 47 | | 1 | | | | 1 | 1 | | 38 | | 1 | | | | | 1 | | 213 |
| 49. კაზლარი | 661 | 6 | 132 | 600 | | | | | 38 | | | | | 1 | | 1 | | 23 | | | | | | | 1 | | 60 |
| სულ | **46344** | **394** | **17974** | **43050** | **9** | **16** | **5** | **111** | **3065** | **12** | **17** | **8** | **570** | **239** | **19** | **9** | **11** | **1770** | **23** | **15** | **6** | **4** | **6** | **5** | **11** | **10** | **11683** |
| % | | | | | **0.1** | **0.1** | **0** | **0.6** | **17** | **0.1** | **0.1** | **0** | **3.2** | **1.4** | **0.1** | **0.1** | **0.1** | **10** | **0.1** | **0.1** | **0** | **0** | **0** | **0** | **0.1** | **0.1** | **66.29** |

*№11 საგარეჯოს საოლქო საარჩევნო კომისია*

## მუნიციპალიტეტის გამგეობა

## თათბირი



### 5 ნოემბერი, 2013 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციული თათბირი მიჰყავდა ***მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს* ბესო მარტიაშვილს.** მან გამოიკითხა მუნიციპალიტეტის თითოეულ ტერიტორიულ ორგანოში არსებული მდგომარეობა და განსაკუთრებულად გაამახვილა ყურადღება ამ ორგანოებში „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით განსახორციელებელი პროექტების სამუშაო პროცესებზე.

თათბირზე გამოიკვეთა მოსახლეობის ის დიდი გულისტკივილი, რაც ზამთრის სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით ტყეების გაჩეხვით არის გამოწვეული. მთელი რიგი ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებმა ზეპირი ინფორმაცია გააკეთეს შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით და გადაწყდა, მომავალი სამშაბათის თათბირზე მოეწვიათ სატყეო სამმართველოს მომსახურების განყოფილების კოორდინატორი.

თათბირზე განხილულ იქნა რწმუნებულთა მიერ დასმული საკითხები, დაისახა მათი გადაჭრის გზები.

### 12 ნოემბერი, 2013 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის თათბირს ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი* გიორგი ლოლაძე** უძღვებოდა. თათბირს ესწრებოდნენ ამავე გამგეობის სამსახურის უფროსები, ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულები, მოწვეული სტუმრები.

თათბირი სპეციალურად მოწვეულ სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს კახეთის სამსახურის სატყეო სამმართველოს მომსახურების განყოფილების კოორდინატორ კობა შათირიშვილთან შეკითხვებით

*დასასრული მე-2 გვერდზე*

## მუნიციპალიტეტის გამგეობა

# თათბირი

**დასასრული**

დაიწყო. კითხვები ეხებოდა ტყეში უნებართვო ჭრებს, იურიდიული და ფიზიკური პირების მხრიდან ტყის ექსპლოატაციას, იმ უფლებებზე, რაც მუნიციპალიტეტის თითოეულ მოსახლეს აქვს ტყით სარგებლობაში, რეინჯერთა უფლება-მოვალეობებსა და ხის ნაყარის შემგროვებელ ფიზიკურ პირებზე, რეინჯერთაგან მათზე განხორციელებულ, არასწორად დაკისრებულ ჯარიმებზე, დასახელებულ იქნა კონკრეტული ფაქტები.

როგორც კოორდინატორმა აღნიშნა: – საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 11 რეინჯერია, ასეთი რიცხვი ვერ გაწვდება მთელ ტერიტორიაზე ტყეზე კონტროლის საქმეს. ამ შემთხვევაში დახმარებას ვთხოვთ რწმუნებულებს, პოლიციის თანამშრომლებს, მოსახლეობას, გარემოს დაცვის თანამშრომლებს, ითანამშრომლონ ჩვენთან, დაგვირეკონ, შეგვატყობინონ და ჩვენ ყველას საკადრისს მივუზღავთო.

თათბირზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის პროექტების განხორციელებაზე ინფორმაცია გააკეთა ***მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა* თენგიზ ივანელაშვილმა.** როგორც მან აღნიშნა, ამ პროგრამით გათვალისწინებული 69 პროექტიდან 18 უკვე დასრულებულია. სადღეისოდ პროექტების მიზანმიმართულად და ხარისხიანად შესრულების შემოწმება მიმდინარეობს.

***ქალაქის რწმუნებულმა* მარიკა თოლომაშვილმა** ქალაქში მაწანწალა ძაღლებისგან შექმნილ პრობლემებზე ისაუბრა.

რწმუნებულების მიერ თათბირზე წამოჭრილი პრობლემების მოსაგვარებლად დაისახა გზები.




*ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი*

**სოსო თედიაშვილი:**

# — მთავარია პრობლემების მოგვარება

2013 წლის 5 აპრილიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსად საგარეჯოელი **სოსო (იოსებ) თედიაშვილი** დაინიშნა.

**ცნობისათვის:** ***დაიბადა 1980 წელს. 1997 წლიდან 2001 წლამდე სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტზე სპეციალობით სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა. 2001 წლიდან 2003 წლამდე მუშაობდა აუდიტორულ ფირმა „გარანტში“ სპეციალისტის თანამდებობაზე. 2003 წლიდან 2005 წლამდე საგარეჯოს გამგეობაში ეკონომიკური განყოფილების სპეციალისტია. 2005 წლიდან 2007 წლამდე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს ოპერატიულ-სამძებრო განყოფილების ინსპექტორია. 2007 წლიდან 2010 წლამდე სს „კავკასავტომაგისტრალის“ ეკონომისტი, 2010 წლიდან 2011 წლის სექტემბრამდე სს „კავკასავტომაგისტრალის“ ტექნიკური განყოფილების ინჟინერ-ეკონომისტი, 2007 წლიდან 2011 წლის სექტემბრამდე შპს „გარანტის“ კონსულტანტია, 2011 წლის სექტემბრიდან სპეციალისტი (ქონების შემფასებელ-ექსპერტი), 2012 წლიდან მონაწილეობს ალტერნატიული საგადასახადო აუდიტის პროექტში, არის აუდიტორი.***

***ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.***

***სოსო დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია და სამსახურის ფუნქციაზე, მუშაობასა და სამომავლო საქმიანობაზე გვესაუბრება.***

– იქნებ დამეთანხმოთ, ვიდრე უშუალოდ თქვენი სამსახურის საქმიანობის შესახებ ვისაუბრებდეთ, ამ სამსახურის ფუნქციები გავაცნოთ ჩვენი გაზეთის დაინტერესებულ მკითხველს.

***– დიახ. ჩვენი სამსახური – ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური არის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვისა და ქალაქმშენებლობის დოკუმენტების შემუშავებას, მშენებლობის ნებართვების თაობაზე გადაწყვეტილებების მომზადებას, მშენებლობაზე და არქიტექტურულ საქმიანობაზე ზედამხედველობას. რაც შეეხება ინფრასტრუქტურის საკითხებს, აქ სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს: მუნიციპალური ინფრასტრუქტურის – ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, ხიდების, გარე განათების, სანიაღვრე მეურნეობის, მუნიციპალიტეტის გამგებლობაში არსებული კომუნიკაციების შექმნის, რეაბილიტაციისა და განვითარების დაგეგმვას, შესაბამისი პროგრამებისა და პროექტების მომზადებას, მათი განხორციელების კოორდინაციას, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ობიექტების შენახვასა და მოვლა-პატრონობას, ასევე, უზრუნველყოფს წინადადებების მომზადებას მუნიციპალური საზოგადოებრივი ტრანსპორტის შექმნის, რეაბილიტაციისა და განვითარების თაობაზე, მუნიციპალიტეტის დასახლებათა ტერიტორიების კეთილმოწყობის დაგეგმვას, შესაბამისი პროგრამებისა და პროექტების მომზადებას, მათი განხორციელების კოორდინაციას; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიწათსარგებლობის დაგეგმვას, უფლებრივ ზონირებას, დასახლებათა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმების შემუშავებას, გეგმარებითი დავალებების მომზადებას, მუნიციპალიტეტის დაკვეთით განხორციელებული ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის კოორდინაციას, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების შემუშავებას და მათი განხორციელების მონიტორინგს, სასაფლაოების მოვლა-პატრონობას, შესაბამისი საზოგადოებრივი მომსახურების ორგანიზებას, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ობიექტების მოვლა-პატრონობას, მომზადებას და მათ განსახორციელებლად რეკომენდაციების და წინადადებების შემუშავებას და ა.შ.***



***რაც შეეხება არქიტექტურის საკითხებს, აქაც სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს: მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ურბანული განვითარების დაგეგმვას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიწათსარგებლობის დაგეგმვას, უფლებრივ ზონირებას, დასახლებათა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმების შემუშავებას, დასახლებათა განაშენიანების რეგულირების გეგმების შემუშავებას, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულაციების წესების შემუშავებას, გეგმარებითი დავალებების მომზადებას, მუნიციპალიტეტის დაკვეთით განხორციელებული ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის კოორდინაციას, მშენებლობის ნებართვების გასაცემად საჭირო პირობების, საპროექტო და სხვა დოკუმენტაციების კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნების შემუშავებას, მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის შექმნასა და განვითარებას და სხვა ფუნქციების განხორციელებას.***

– როგორც ჩანს, საკმაოდ საპასუხისმგებლო ფუნქციები აკისრია სამსახურს. ჩვენს მუნიციპალიტეტში რამდენი პროექტი უნდა განხორციელდეს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 2013 წელს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის განკარგულების საფუძველზე და მათგან ყველაზე პრიორიტეტულს რას გამოყოფდით?

***– სულ 69 პროექტი უნდა განხორციელდეს. მინდა გითხრათ, რომ ყველა ეს პროექტი პრიორიტეტულია. როგორ არ ჩავთვალოთ პრიორიტეტულად ყველა ის პროექტი, რომელიც მთიანი სოფლების ზონებიდან იწყება და უდაბნოთი მთავრდება? აქ ხომ ის პრობლემებია, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში აწუხებთ თითოეული სოფლის მოსახლეობას? ესენია – გზები, თუნდაც რესპუბლიკური ავტომაგისტრალიდან სოფლამდე მისასვლელი, შიდასასოფლო გზები, სარწყავი თუ სანიაღვრე არხები, სასმელი წყალი, სათავე-ნაგებობების მოწესრიგება, სარიტუალო სახლები, სოფლის სავარგულებამდე მისასვლელი გზები. კარგად იცით, სტიქიის შედეგად როგორ ზიანდება გზები, სათავე-ნაგებობები, სანიაღვრე არხების მოუწესრიგებლობა იწვევს სწორედ ყოველივეს დაშლა-დანგრევას, სასმელი წყლის მაგისტრალების, სათავე-ნაგებობების დაზიანება პარალიზებას უკეთებს სოფლის ნორმალურ ცხოვრებას, სოფლის შიდა გზების მოუწესრიგებლობა რამხელა დისკომფორტს უქმნის ადგილობრივ მაცხოვრებელსაც და სტუმარსაც. კარგად მოგეხსენებათ, სარიტუალო სახლების არარსებობა უდიდეს პრობლემას უქმნის ჭირისუფლებს. ამდენად, ის პრობლემები, რაც მოსახლეობის მიერ წინა რიგებშია წამოწეული, ის, რაც მათ აწუხებთ და უკვე მთელი სოფლის გასაჭირია, პირველ ხანებში ის უნდა გაკეთდეს. 2013 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ მიხედვით განხორციელებული პროექტებისათვის 996 ათასი ლარია გამოყოფილი საქართველოს მთავრობის განკარგულების მიხედვით.***

– როგორ მიმდინარეობს პროექტების განხორციელება დღევანდელი მდგომარეობით?

***– უკვე დასრულდა გომბორისა და ვერონის სარიტუალო დარბაზების კეთილმოწყობა, რეაბილიტაცია, ნინოწმინდის საბავშვო ბაგა-ბაღში სველი წერტილების მოწყობა, წყაროსთავში ორი უბნის (ბეჟიტაანთ უბანი, კერატიანთ უბანი) შემაერთებელ ხევზე გადასასვლელის მოწყობა, ვერხვიანში სასმელი წყლის სისტემის აღდგენა-რეაბილიტაცია, ყანდაურაში საბავშვო ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია, ზემო ყანდაურაში სასმელი წყლის სათავის შეკეთება, მზისგულში სასაფლაოს შემოღობვა, საჯარო სკოლის ეზოს შემოღობვა, სულ 18 პროექტი.***

– როდიდან დაიწყო პროექტების განხორციელება და მისი დამთავრების ვადებზე რას იტყვით?

***– საერთოდ, პროექტების განხორციელება დაიწყო აგვისტოდან და დღესაც ხორციელდება. როგორც თქვენთვის ცნობილია, წლის დასაწყისიდან მუნიციპალიტეტის თითოეულ ტერიტორიულ ორგანოში ჩატარდა სოფლის კრებები, სადაც ადგილობრივმა მოსახლეობამ შეაჯერა თავიანთი აზრი და სოფლის პრიორიტეტად მხედველობაში მიიღო ის საკითხები, რომელთა მოგვარებაც მათ საყოფაცხოვრებო პირობებს გააუმჯობესებდა. მაგრამ, თანდათანობით მოხდა ცვლილებები თანხების სიმცირის და სხვა პრობლემების გამო. ისე, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე უნდა დამთავრდეს.***

– ჩვენს მუნიციპალიტეტში, ასევე, გათვალისწინებულია „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროგრამების ფონდიდან“ გარკვეული თანხის გამოყოფა მიზანმიმართული პროექტების განხორციელებისათვის. ამაზე რას გვეტყვით?

***– დიახ, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 აგვისტოს განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროგრამების ფონდიდან“ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტს გამოყოფილი აქვს 1787540 ლარი.***

– კონკრეტულად რაზეა საუბარი, რა პროექტები განხორციელდება ამ პროგრამით?

***– ეს პროექტები მართლაც რომ უმნიშვნელოვანესია დღევანდელი პრობლემების ფონზე: სოფელ ნინოწმინდაში მოეწყობა გარე წყალსადენი, მოხდება სოფლების პატარა ჩაილური-კაკაბეთი-ვერხვიანი-ყანდაურის შემაერთებელი გზის აღდგენა, რომლის საერთო სიგრძე 4.8 კმ-ია. ეს გზა მოგეხსენებათ, ორი ათეული წლის წინ ერთ-ერთ უმოკლეს გზად ითვლებოდა აღნიშნული სოფლების დასაკავშირებლად, განტვირთვა ხდებოდა ავტომაგისტრალისაც, მაგრამ წლების განმავლობაში მოუვლელობის გამო ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა ეს გზა, რომ ვერც ერთი სოფელი ვეღარ სარგებლობს. ასევე, მოხდება სოფელ გიორგიწმინდის წყალსადენის აღდგენა, ქ. საგარეჯოში რუსთაველის, ერეკლე მეორის, თამარ მეფის ქუჩებზე მოხდება სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია, ხოლო ჯაფარიძის, კოსტავას, კახეთის და იმედის ქუჩებზე კი გადამკვეთი სანიაღვრე ხევის ყველაზე დაზიანებული მონაკვეთების მოწყობა. ხაშმში შეიცვლება წყალსადენის მაგისტრალის დაზიანებული მონაკვეთი, მოეწყობა სოფლების გიორგიწმინდა-ანთოკი-მარიამჯვარის შემაერთებელი, ანთოკის ხევზე გადასასვლელი მცირე ტვირთამწეობის ხიდი, რომელიც გააადვილებს ამ სოფლებს შორის ტრანსპორტის გადაადგილებას.***

– საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 სექტემბრის განკარგულებით (№1316) საქართველოს ზოგიერთი მუნიციპალიტეტის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლდა, მათ შორის არის ჩვენი მუნიციპალიტეტი. რას იტყვით ამაზე?

***– დიახ, აღნიშნული განკარგულებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად ჩვენი მუნიციპალიტეტიც გათავისუფლდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან. ამ შემთხვევაში ყველა მუნიციპალიტეტი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეული გამოიყენოს მხოლოდ შესაბამისი ინფრასტრუქტურული სამშენებლო პროექტებით გათვალისწინებული მიზნებისთვის. ჩვენს მუნიციპალიტეტში დადგენილია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება დადგენილი შემდეგი კოორდინატების ფარგლებში: ანთოკის ხევი (საჭირო ინერტული მასალის რაოდენობა 5000მ3), ჩაილურის ხევი (5500მ3), გომბორის ხევი (5200მ3), თულარი (28500მ3). სასარგებლო წიაღისეულის მიზნობრივად გამოყენების ზედამხედველობა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს დაევალა. ასე, რომ ინერტული მასალის – ქვიშის მოპოვებაზე ჩვენს მუნიციპალიტეტში მკაცრად დადგენილი კოორდინატებია.***

– ზემოთ საუბარშიც აღვნიშნე, რომ საპასუხისმგებლო სამსახურია და იქნებ თქვენი თანამშრომლებიც გაგვაცნოთ?

***– სამსახურის მთავარი სპეციალისტი – არქიტექტორი – გიორგი ქვლივიძე, მთავარი სპეციალისტები ინფრასტრუქტურის საკითხებში: გიორგი თედიაშვილი, ვახტანგ ლაფაჩიშვილი, ალიკო გილაშვილი, დავით ჩოკოშვილი, მთავარი სპეციალისტი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის საკითხებში – რომან სურმანიძე, მთავარი სპეციალისტი საქმის წარმოების საკითხებში – ნინო გამყრელიძე.***

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტი
## თემი
# იორმუღანლო


თემის რწმუნებული ნათიკ რასუმოვი

**იორმუღანლოს თემში** ორი სოფელი შედის – იორმუღანლო და ქეშალო.

**იორმუღანლო**
კომლი – 376
მოსახლეობა 2415 კაცი
**ქეშალო**
კომლი 630
მოსახლეობა 3898 კაცი
**სულ თემში**
კომლი – 100
მოსახლეობა – 6313 კაცი
მიწის ფართობი – 2660 ჰა
**აქედან**
კერძო – 314 ჰა
სახელმწიფო – 2346
სასოფლო-სამეურნეო მიწები – 2012 ჰა
**აქედან**


პოლიკლინიკა

კერძო – 314 ჰა
მუნიციპალური – 1788ჰა
სახნავი – 1234 ჰა
**აქედან**
კერძო – 1234 ჰა
საძოვარი – 660 ჰა
**აქედან**
კერძო – 215 ჰა
სახელმწიფო – 445 ჰა
მრავალწლიანი ნარგავები
სულ 208 ჰა
კერძო – 208 ჰა

აქაური მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობაა.

თემში 15600 სულ ცხვარს და 1715 მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს ითვლიან.

თემში 2010 წელს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით შეკეთდა სოფელ იორმუღანლოს გზა, რომელზედაც 31200 ლარი გაიხარჯა. ამავე წელს სოფელ იორმუღანლოს პოლიციის შენობის გაზიფიცირების და საპროექტო სამუშაოებს 8 ათასი ლარი მოხმარდა, ხოლო ამავე პოლიციის შენობის გაზიფიცირებისა და საპროექტო სამუშაოების ღირებულებამ 20400 ლარი შეადგინა. პოლიციის ტერიტორიის კეთილმოწყობას 50400 ლარი.

2011 წელს იორმუღანლოს ჭაბურღილის მოწყობას – 34096 ლარი, ხოლო ქეშალოს – 37889 ლარი მოხმარდა. იორმუღანლოს


ოჯახის ექიმი თამილა დათუნაშვილი პაციენტთან

ჭაბურღილისთვის რეზერვუარის შესყიდვაზე – 2667 ლარი გაიხარჯა.

2012 წელს სოფელ იორმუღანლოს სარწყავი არხის რეაბილიტაციას და გზის მოხრეშვას 42345 ლარის სამუშაოები დას-


იორმუღანლოელი მოსწავლეები




ჭირდა, ქეშალოს ჭაბურღილის გაკეთებას – 35 ათასი, ამავე სოფლის ცენტრალური გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 25980 ლარი გაიხარჯა.

2013 წელს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით იორმუღანლოში სასოფლო გზების რეაბილიტაციისათვის 37398 ლარი გაიხარჯა, სასმელი წყლის რეზერვუარის


იორმუღანლოს საჯარო სკოლის ეზოში, დასვენებაზე

შეძენას – 5000 ლარი. რაც შეეხება სოფელ ქეშალოს, აქ შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციისათვის 36064 ლარი იყო გამოყოფილი, ხოლო სოფლის სასაფლაოს შემოსაღობად – 25 ათასი ლარი.

თემის რწმუნებულია ნათიკ რასუმოვი.

იორმუღანლოს საჯარო სკოლა (მენეჯერი კაზახ აბდულაევი}.

საექიმო ამბულატორია (მენეჯერი ბა-


რეაბილიტირებული ცენტრალური ქუჩა

შირ აბდულაევი), რომელიც იორმუღანლოს ტერიტორიაზეა და აზერბაიჯანული სექტორის მოსახლეობას ემსახურება თანამე-


იორმუღანლოს საჯარო სკოლის ახალი სასწავლო კორპუსი

დროვე სტანდარტებითაა აშენებული. იორმუღანლოსა და ქეშალოს მოსახლეობას (6800 კაცი) ოჯახის ექიმი – თამილა დათუნაშვილი ემსახურება.

სოფელში არის აფთიაქი, სტომატოლოგიური ცენტრი, სავაჭრო ობიექტები.

იორმუღანლოს მოსახლეობისათვის პრობლემად იქცა სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ საგარეჯოს ელექტროსერვისის მიერ ზაფხულსა და შემოდგომის დასაწყისში ცენტრალური ელექტროგადამცემი სადენების გამოცვლა, რის შედეგადაც აქაური მოსახლეობის ნაწილი ერთხანს ელექტროენერგიის გარეშე დარჩა.

თემის მოსახლეობისათვის პრობლემას წარმოადგენს სასმელი წყლისა და სარწყავი წყლის დეფიციტი. წლების განმავლობაში საგრძნობლად იყო დაზიანებული როგორც ცენტრალური, ასევე, სოფლის შიდა გზები. სწორედ ამ პრობლემების მოსაგვარებლადაა მიმართული მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ყურადღებაც და „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით ორივე სოფელს აღნიშნული პრობლემები მოუწესრიგდა, რომლებიც სოფლის კრებებზე თავად დასახეს პრიორიტეტულ საკითხებად. უახლოეს მომავალში კი ამ სოფლებისათვის ალბათ სარწყავი წყლის პრობლემაც მოიხსნება, ზოგან ადგილზე სარწყავი წყლის არხი ახლიდან გადაკეთება-აღდგენას მოითხოვს.

სოფელი გაზიფიცირებულია, მაგრამ ბუნებრივი აირის სიკეთით ბევრი ოჯახი ვერ სარგებლობს მარტივი მიზეზის გამო – ცენტრალური ბუნებრივი აირგამტარი მილებიდან ოჯახებამდე მიყვანა ყველაზე ახლო მანძილიდანაც კი ოჯახს 700-დან 1000 ლარამდე უჯდება.


სტომატოლოგიური ცენტრი

## ორიოდე სიტყვა სოფლის ღირსეულ ადამიანზე

# უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი, მთარგმნელი,ტრენერი...

ეს ჩამონათვალი მხოლოდ ნაწილია იმ ღვაწლისა, რომლებიც თავისი მრავალწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე დაიმსახურა იორმუღანლოს საჯარო სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელმა, ამ საგანში ჩვენს მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ერთ-ერთმა აღიარებულმა სპეციალისტმა და მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისიდან აღნიშნული სკოლის დირექტორმა კაზახ აბდულაევმა.

მათემატიკური საგნების მოყვარულმა, დაამთავრა თუ არა ბაქოს პედინსტიტუტის ფიზიკის ფაკულტეტი, 1974 წლიდან მუშაობა მშობლიური სოფლის – ლამბალოს საშუალო სკოლაში ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად დაიწყო. აქ, ამ სკოლაში მთელი 21 წელი ასწავლიდა აქაურ ბავშვებს ამ საგნებს.

1995 წლიდან სამუშაოდ იორმუღანლოს საშუალო სკოლაში გადავიდა, სადაც დღემდე ერთგულად ემსახურება ერთხელ და სამუდამოდ არჩეულ საქმეს. საყოველთაოდაა ცნობილი ის წარმატებები, რასაც ამ სკოლის მოსწავლეები აღწევენ ადგილობრივი თუ რესპუბლიკურ ღონისძიებებში, სხვადასხვა კონკურსებსა თუ ოლიმპიადებში, რამაც კაზახ მასწავლებელს დამსახურებულად მოუტანა სახელი და აღიარება. სხვათა მასწავლებელი თავადაც გამუდმებით სწავლობს და იმაღლებსა ცოდნას, ცდილობს ფეხი აუწყოს და არ ჩამორჩეს დროისა და მასწავლებლის წინაშე წაყენებულ მოთხოვნებს. 39 წლიანი მუშაობის პერიოდში გავლილი აქვს კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვადასხვა კურსები და ტრენინგები. მათგან თავად იგი ყველაზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქალაქ მოსკოვში ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს. ასევე, გავლილი აქვს სკოლის სარეზერვო ხელმძღვანელის კურსები თბილისში, კომპიუტერის შემსწავლელი, ბილინგური სწავლების კურსები, ქართული ენის სწავლების პროგრამა და სხვა. იგი მფლობელია თითქმის ყველა იმ ტიტულისა, რაც კი ქართველ მასწავლებელს შეეძლო ჰქონოდა. 1983 წელს მიენიჭა უფროსი მასწავლებლის, 1988 წელს მეთოდისტი მასწავლებლის, 1993 წელს კი უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის წოდებები. 2011 წელს წარმატებით ჩააბარა მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები მათემატიკაში, მომდევნო წელს კი ფიზიკაში. ამ დამსახურებების მქონეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მიანდო და 2012 წელს თარგმნა ქართულიდან აზერბაიჯანულ ენაზე მე-5-6 კლასების მათემატიკის სახელმძღვანელოები და მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნები, რომლებითაც ამჟამად სწავლობენ საქართველოს აზერბაიჯანულენოვანი სკოლების მოსწავლეები. ამაში მას დიდად დაეხმარა ის, რომ ფლობს 4 (ქართულ,

დასასრული მე-8 გვერდზე

აღზრდა-განათლება

# მშვიდ და წყნარ გარემოში




საგარეჯოს საბავშვო ბაგა-ბაღი №3 რუსთაველის ქუჩის ერთ მყუდრო, ნაძვებში ჩაფლულ გარემოშია. შენობა ერთსართულიანის ტიპისაა და 1333 მ2 ფართობის მქონე მიწის ნაკვეთზეა განთავსებული. თავად შენობა 330,4 მ2 ფართობისაა და აქ ისეთი პირობებია შექმნილი, სიხარულით მოეშურებიან დილაადრიან







ბაგა-ბაღის აღსაზრდელები.

საბავშვო ბაგა-ბაღი 1968 წლიდან იღებს აქ პატარებს. საგარეჯოელებს კარგად ახსოვთ ბაღის გამგე ქეთევან დოლენჯაშვილი, აღმზრდელ-პედაგოგები ნინა ბურთიკაშვილი, ეთერ კევლიშვილი (ამჟამად აღმზრდელი), ნელი ალექსაშვილი, თამარ ღრეული, (შემდეგში ბაღის გამგე), ქეთევან დარბაისელი (ბაღის ყოფილი გამგე და ამჟამად ლოგოპედი).

1993 წლიდან ***საბავშვო ბაგა-ბაღის მენეჯერია* ნანა სულიკაშვილი,** რომელსაც საბავშვო ბაგა-ბაღის მუშაობის შესახებ ვთხოვეთ ესაუბრა:

– ბაგა-ბაღში გასულ წელს 45 აღსაზრდელი გვყავდა. მიმდინარე სასწავლო წლიდან ბაგა-ბაღის გადასახადის გაუქმებამ მათი რიცხვი 71-მდე გაზარდა. გვაქვს 3 ჯგუფი: 2-3 წლიანების (აღმზრდელი ეთერ კევლიშვილი), 3-5 წლიანები (მერი კერატიშვილი) და 5-6 წლიანები (სონია გენგაშვილი). ასევე, ჩვენი აღსაზრდელების აღზრდის საქმეს ემსახურება ლოგოპედი ქეთევან დარბაისელი, ფსიქოლოგი ირინა ქართლელიშვილი, მუსიკის მასწავლებელი ეკა მაზანიშვილი, აღმზრდელის თანაშემწეები: ეკა ჭეშურაშვილი, ნატო ნუკრაძე, ლია ალექსაშვილი, მზარეული ლია ნანუაშვილი.

– ჩვენთან მეცადინეობები ტარდება მეთოდური მითითებებისდა მიხედვით. მშობლები აქტიურად არიან ჩაბმული ბაგა-ბაღის ყოველდღიურობაში – მათ კარგად იციან დღის რეჟიმი, მენიუ, თვალყურს ადევნებენ შვილების აღზრდა-განვითარების საქმეს, ინტერესით ერთვებიან ჩვენი ღონისძიებების მოსამზადებელ საქმიანობაში, – მეუბნება ქ-ნი ნანა, – დღეს ჩვენს საბავშვო ბაგა-ბაღში დიდი სამზადისია შემოდგომის ზეიმის ჩასატარებლად. ძირითადი „დატვირთვა“ ამ ზეიმის მსვლელობისას უფროსი ასაკის აღსაზრდელებზე თუ იქნება, მაგრამ მათ არც 2-3 წლიანთა ჯგუფის აღსაზრდელები ჩამორჩებიან – ისინიც მიიღებენ მონაწილეობას ზეიმში. შემდეგ სამზადისი გაგრძელდება საშობაო ზეიმისათვის.

მართალია, შენობა შეკეთება-შერემონტებას მოითხოვს, მაგრამ ვცდილობთ აქ ყველა პირობა შევუქმნათ აღსაზრდელებს მეცადინეობა-თამაშისათვის. ჩვენთან შეიცვალა შენობის გარე ფანჯრები მეტალოპლასტმასის ფანჯრე-







ბით, გადაიხურა ჭერი, გაკეთდა ახალი სველი წერტილები, მაგრამ შენობის შიგნით ყველა ოთახი სარემონტოა. თუმცა, ამას, როგორც ზემოთ გითხარით, ჩვენთვის ხელი არ შეუშლია ახალი ნაკადის მიღებისათვის. მინდა ვისარგებლო და გაზეთის საშუალებით მშობლების სახელით მადლობა გადავუხადო ჩვენი ***მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატს* თინათინ ხიდაშელს** იმ ინიციატივისათვის, რომელმაც მშობლებს საშუალება მისცათ ბაგა-ბაღში მოეყვანათ თავიანთი შვილები. სიხარულით, ხელიხელჩაკიდებულები მოდიან და -ძმა მარიამ და ლაზარე პეტრიაშვილები, თინა და ზაქრო დარისპანაშვილები, თანდათან კი მათ სხვებიც შემოუერთდებიან.

*თინა ილაური*




## უმაღლესი სასწავლებელი

# პროფესიის დასაუფლებლად



***„ჩვენში ღვთის მადლით არის ძლიერი გენი, ისეთი გენი, რომელიც იყო წმ. მეფე დავით აღმაშენებელში, წმ. თამარ მეფეში. ჩვენში არის სისხლი და ხორცი ჩვენი წინაპრებისა და ამიტომ იმედი მაქვს, რომ მიუხედავად ამ სირთულეებისა, რომელიც დღეს გვხვდება, ჩვენ გვექნება ერთსულოვნება. რამდენიმე დღის წინ გამოითქვა ასეთი სიტყვები***

***„ქართველები ერთად ღვთისაკენ“***

***აი, ეს ერთობა არ მოგვიშალოს ღმერთმა. ერთობაშია ჩვენი ძალა. ერთსულოვნებაშია ჩვენი გამარჯვება. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ხელისუფლება, ეკლესია, ოჯახი და საერთოდ მთელი ქართველი ხალხი ვიყოთ ერთად და ვაკეთოთ ღვთისა და ერის საქმე.***

***საქართველო კვლავაც აუცილებლად გადარჩება და გაბრწყინდება, მაგრამ ამას განახორციელებს ის თაობა, რომელიც ღვთის მცნების დამცველი და მისი ნების აღმასრულებელი იქნება. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული.***

***ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ!***

***ღმერთმა დალოცოს საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორატი, პროფესორ-მასწავლებლები, ტექნიკური პერსონალი, სტუდენტი-ახალგაზრდობა და მათი მშობლები.***

*ილია II,*

***სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი***

ასე დალოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ „EUCEN“-ის საერთაშორისო საგანმანათლებლო ევროაკრედიტაციის მფლობელი საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორატი, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, მათი მშობლები.

ა.წ. 28 სექტემბერს ღია კარის დღე მოეწყო საგარეჯოს „წიგნის ცენტრში“, რომელსაც ესწრებოდნენ სტუდენტები, მათი მშობლები, საზოგადოების წარმომადგენლები, ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები. ღია კარის დღე გახსნა ამავე ინსტიტუტის რექტორმა გარი ჩაფიძემ.

როგორც მან აღნიშნა, აქ სწავლება სამწლიანია. სასწავლო წელი ყველა სპეციალობაზე ორსემესტრიანია. გადასახადი სემესტრში 250 ლარია. კურსდამთავრებულები მიიღებენ სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელ სამენოვან (ქართულ-უკრაინულ-ინგლისური) ოქროსბეჭდიან სერტიფიკატს.

1 ოქტომბერს კი საგარეჯოს სასწავლო ცენტრში დაირეკა ახალი სასწავლო წლის მაუწყებელი ზარი.

ბანკის ოპერატორის, აუდიტის ასისტენტის, დაცვა-პატრულირების, ბაგა-ბაღის აღმზრდელის, კომპიუტერული ტექნოლოგიების, ვეტერინარიის სპეციალობაზე გადანაწილებულ სტუდენტებს აუდიტორიებში შეუძღვა ***საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის საგარეჯოს სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი* თამარ ურდულაშვილი.**

„– საით მივდივართ?“ – იყო კითხვა სტუდენტების მხრიდან.

– „მუდამ შინისკენ“ – ნოვალისის სიტყვებით უპასუხა სტუდენტებს თამარ ურდულაშვილმა. მან სტუდენტებს განუმარტა, რომ ეს ინსტიტუტი – მათი, ყველას სახლია.

– ჩემს ბავშვობაში, ან ჩემს შვილზე დაკვირვებისას აღმომიჩენია, რომ ყველაზე მტკივნეული სახლს მოწყვეტა იყო, – გვიამბობს ქალბატონი თამარი, – ბევრი შეგრძნება აღარ მახსოვს, მაგრამ ერთი ცხადი იყო: თავშესაფარს, სიმყუდროვესა და დაცულობას ვესწრაფოდი, რადგან სამყარო ძალიან დიდია და თავს იქ უმწეოდ ვგრძნობდი.

მე მინდა ამ ინსტიტუტს სახელი დავარქვა, თუმცა ჰქვია „წიგნის სახლი“ და გარდა სასწავლო გარემოსი, შემოქმედებითი გარემოც მოვაწყო, მართლა მინდა დავამსგავსო სახლს, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, რომ სტუდენტმა თავი აქ მყუდროდ და უსაფრთხოდ იგრძნოს, დაიჯეროს, რომ იგი უყვართ, მისი ბედი აღელვებთ, ცხოვრებისათვის საჭირო ცოდნასა და უნარებს ვუზიარებდეთ, სტუდენტი და პროფესორ-მასწავლებლები ერთად ვქმნიდეთ სასწავლო გარემოს გულით, გონებითა და ქმედებით.

უკვე დიდი ხნის მასწავლებელი ვარ...

ხალისი არ გამქრობია...

ჩემი სტუდენტების ასაკიდან მინდა შევხედო სამყაროს, დღესაც მე მათგან უამრავ რამეს ვსწავლობ...

ყოველთვის ვფიქრობ მეორე დღეზე, როგორ ჩავატარო ლექცია, რომ ჩემი მიზნები განვახორციელო. თუ კარგად არ ფლობ მასალას, რომელიც უნდა ასწავლო...

ყოველთვის ვხელმძღვანელობდი ჩილელი პოეტის გაბრიელა მისტრალის „მასწავლებლის 10 მცნებით“.

თუ სიყვარული არ შეგიძლია, ნუ ასწავლი, ლამპარი რომ აანთო, ცეცხლი უნდა გქონდეს გულში.

მე შემეძლო სიყვარული და ვასწავლიდი...

მქონდა ცეცხლი და ვანთებდი ლამპრებს...

ჩემი გაკვეთილები სხვისგან კი არა, ერთმანეთისგანაც ყოველთვის განსხვავებული იყო... რატომ? სულს ვუბერავდი ცოცხალი არსებასავით, ვზრუნავდი და ვზრუნავ სულის ამაღლებაზე – რომ გასცე, უნდა გქონდეს – ყოველთვის მახსოვდა.

ჩემი პროფესია ხელობა კი არა, ღვთისმსახურებაა.

ყოველი დღე და ახალი გაკვეთილი საკუთარ სულში გახედებს სარკესავით...

ყოველთვის ვფიქრობ, რომ ჩვენ ყველას გვაქვს ჩვენი ცხოვრების ბოლომდე სატარებელი – უფალმა მე დამაკისრა ხვალინდელი დღის შექმნა.

ჩემთან რომ იმუშაო, სულ ცოტა, ჩემნაირი უნდა იყო: გულანთებული, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული... მუდმივად უნდა ზრუნავდე უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, უნდა იყო სამართლიანი, ღია სიახლეებისადმი, შემოქმედებითი, ტოლერანტი, თვითკრიტიკული, უნდა ასწავლიდე და სწავლობდე.

ასეთები არიან ქალბატონები ცირა ტეტიაშვილი, ნელი ბროლაშვილი, ნათელა ჭიაბერაშვილი, რომლებიც გაუძღვებიან უცხო ენის, ეთიკის, აუდიტის კურსის სწავლებას.

ჩვენ ამ სასწავლებვლის სტუდენტებს გავესაუბრეთ. აი, რა გვითხრეს მათ:

**ნიკა ხატიაშვილი** – საბანკო საქმის მიმართულების სტუდენტი:



– საინტერესოდ დაიწყო ჩვენი სასწავლო პროცესი. დიდი დაინტერესება მაქვს საბანკო საქმის შესწავლის. კარგად იცით, რომ დღეს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ამ საქმიანობას – იხსნება ბანკები და დასაქმებაც უადვილდება ადამიანს.

**დათო კავთუაშვილი** – ვეტერინარიის მიმართულების სტუდენტი:



ბოლო პერიოდში სოფლის მეურნეობის განვითარებას სახელმწიფომ დიდი ყურადღება მიაქცია, გლეხის დასახმარებლად მრავალი სახელმწიფო პროგრამა ამოქმედდა, რაც ხელს შეუწყობს როგორც მევენახეობა-მებაღეობის, ისე მეცხოველეობის განვითარებას. კახელი კაცი ერთნაირად არის დაინტერესებული ვაზის მოვლითა და მეცხოველეობის განვითარებით. ვფიქრობ, მეტად ავიმაღლებ კვალიფიკაციას და დასაქმებაც შესაბამისი მექნება. სასწავლებელი, რომელშიც დღეს მე და ჩემი ამხანაგები ვსწავლობთ, გარდა პროფესიის დაუფლებისა, ვიმედოვნებ, ბევრ სიკეთეს მოგვცემს.

# შემოქმედი

იუბილე

## დავით ტიგინაშვილი – 60

**ამ** დღეებში საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ, ქართულმა ლიტერატურულმა საზოგადოებამ ზეიმით აღნიშნა ჩვენი თანამემამულე პოეტის **დავით ტიგინაშვილის** საიუბილეო 60 წლისთავი.

საგარეჯოელ პოეტს პოეზიისადმი ერთგულება ადრეული წლებიდანვე მოსდგამს, თუმცა მისი შემოქმედება პირველად დღის სინათლეზე 1984 წელს გამოვიდა – გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი „საქართველოს“. ამ ლექსის „ნათლია“ და ჩამსწორებელი, საყოველთაოდ აღიარებული პოეტი შოთა ნიშნიანიძე გახლდათ და ნაწილობრივ ალბათ ამანაც განაპირობა ის აღიარება და პოპულარობა, რასაც ბ-ნმა დავითმა მიაღწია თავის თითქმის სამათეულწლიან მოღვაწეობაში. მშობელი ერის დიდი სიყვარული, ყოველივე ქართულის



პატივი და თაყვანისცემა ირეკლება მისი პოეტური კრებულიდან „ვაზის ქორწილი“, „თუშური ჰანგის წკრიალი“, „თუშ-ფშავ-ხევსურული მოტივები“, „ვაზისა და სიყვარულის სიმფონია“,„მატიანური“, „მრუდე ვაზის ჩამონაჟური“ და მაინც, ყველაზე მეტად პოეტის შთაგონების და სიყვარულის წყარო მისი მშობლიური კახეთი, საგარეჯოა, – აქაური ადათ-წესებით, მრუდე ვაზის ძირით, ქართული სუფრა და ქართველი ქალია, რომელსაც თავდავიწყებით ეფერება და ესათუთება.

საუცხოო ლექსთა კრებულის ავტორი არის საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ეგიდით მინიჭებული აქვს პოეტ-აკადემიკოსის წოდება. ასევე, ფაზისის საერთაშორისო აკადემიისა და საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პოეტი აკადემიკოსი, გიორგი ლეონიძისა და ვაჟა ფშაველას პრემიების ლაურეატი – 61-ე წელში გადამდგარი გარეკახელი პოეტი.

მშობლიური ერისა და ქვეყნის სიყვარული მარტო პოეზიით არ გამოუხატავს, როგორც მისი ერთი რიგითი დამცველი, იბრძოდა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, თუმცა სულითა და მოწოდებით რაინდს უფრო ქართულ ლექსთან პაექრობა ხელეწიფება და იმედია, კვლავაც ახალდარგული მარგალიტებით გაამდიდრებს ჩვენი ერის პოეტურ საგანძურს.

პოეტი **მადლობას უხდის** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ილია ჭიაურელს, მუნიციპალიტეტის გამგეობას, მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატს საქართველოს პარლამენტში თინათინ ხიდაშელს დაბადებიდან 60 წლისთავის გულითადი მილოცვისთვის.

### მამლის ყივილი არ მოგანატროს უფალმა, ჩემო საქართველოვ!

მამლის ყივილი არ მოგანატროს უფალმა,
და ყოველთვის
ბედნიერი დილა
გაგთენებოდეს, ჩემო საქართველოვ!..
და თუ მომავალში მაინც
რაიმე სასწაული გიწერია,
დაე, ისევ სიყვარულის
ნიაღვარმა
წაგლეკოს, შე მადლიანო...
რათა ოდესმე
ამ ღვთიური სურნელებით
ენძელასავით კიდევ ამოხეთქო...

### ერთიც დამისხი, მერიქიფევ, დამალევინე

ერთიც დამისხი, მერიქიფევ, დამალევინე,
ჩამაჭრებულა შემოდგომის სუფრა
ღვთიური,
გამთენიისას შევეფეთე ვაჟას არაგვზე,
ღმერთო, ოცნება ამისრულდა
მარადიული...
ძარღვებში სისხლი მოგრიალებს
როგორც ვულკანი,
ჩემი ცხოვრება სიყვარულმა გაალამაზა,
რა აშუღი ხარ, ან ვინა ხარ, ადამიანო,
თუ არ დაგგლიჯა სიყვარულის
შავმა ავაზამ?!
მიდი მეარღნევ, აატირე ძველი არღანი,
იქნებ სიკვდილმა ამ სოფლიდან
ხვალვე აგვყაროს,
ღვინო დამისხით, ამამღერეთ,
როგორც არაგვი,
თორემ უფალო, თავს დაგვემხო
მთელი სამყარო!..

### კახეთო, ჩემო კახეთო

რატომ არ მკითხავთ, რადა ვარ
დაღონებული ხარივით,
მოვარდი, მუზავ, ტიალო,
ბორბალოს ნიაღვარივით.
მოდი, ერთხელაც ლომებმა
ლომებრ ვიომოთ, რაც არი,
გულში არ გამამილიო
ნაღვერდალი და ნაცარი.
სულ სხვაა ლექსის წარაფი,
კლდეს შეგახეთქებს ფრიალოს,
ქვირითიანო კალმახო,
არაგვზე ჩავიგრიალოთ.
დედის ხმასავით ყურს ვუგდებ,
არაგვო, შენს ტკბილ საუბრებს,
გამლექსე მტკვარო, იორზე,
ალაზანს გამასაუბრე.
ცივ-გომბორიდან აფრენილს
სად არ მიწვდება ხელიო,
ყვარელო, ღვინო დამისხი,
ალვანო, ჩასჭერ ყველიო.
ტირიან ქართულ გარმონზე
დაღესტან-ლეკ-ინგუშეთი,
ზვიადაურო, დასჭექე,
ამოაკივლე თუშეთი!
მომნატრებია მაჭრობა,
მზით გარუჯული მტევნები,
და პაპაჩემის მარანში
დადუღებული ქვევრები.
კახეთო, შენი ნაჟურით
ჩამავთვერ, ჩავიცრემლეო,
ღვთით კურთხეულო სამოთხევ,
აგრემც შენ შამოგევლეო.

### ტიალო წუთისოფელო!

ტიალო წუთისოფელო,
თვალით არ დაიხედები,
საწყალი კაცის გულშია
გადახრუკულა ედემი.
თუკი მაყნოსე სიცოცხლე,
ნუ გამიგრძელებ მოლოდინს,
ბარემამ ამამასუნთქე
და გამახარე ბოლომდის!
სიყვარულისთვის გაჩენილს
ცრემლი მიმძიმებს წამწამებს,
ლუკმა-პურისთვის, ოხერო,
ძაღლივით დამაწანწალებ!
დავწყვიტე აპეურები
ღვინიებსა და წიქარებს,
აღარ დამადგა საშველი,
ვერა და ვერ გავიხარე!
ერთი ალალი კაცი ვარ,
გულმართალი და უბრალო,
ამ ქვეყნის სიავისაგან
შენ დამიფარე უფალო!

ხელოვნების პოპულარიზაციისათვის

# მივიწყებული საბრძოლო ხელოვნება — მამულის დაცვა, ვაჟკაცობა



**ქ**ართული ძველი საბრძოლო ხელოვნებით იქნებ ბევრი ახალგაზრდაც იყოს დაინტერესებული ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ, ჯერ-ჯერობით რატომღაც ფეხს ახლაღა იკიდებს, ფრთხილად, მოზომილი ნაბიჯებით. ბოლო პერიოდში ტელეეკრანზე ტრიალებს ლუდის რეკლამა, სადაც „შავფარიანები“ თავიანთ საბრძოლო ხელოვნებას გვიჩვენებენ. სექტემბერში კი სერიოზული გადაცემა გვიჩვენეს, სადაც სხვა ქალაქების „შავფარიანებთან“ ერთად მოხსენიებული იყვნენ საგარეჯოელებიც. ინტერესი დიდი იყო და გაკვირვებაც...

საგარეჯოელი „შავფარიანები“ საგარეჯოს №1, №2, №4 სკოლის მოსწავლეები აღმოჩნდნენ. მათ შორის 5-6 წლიანებიც არიან: საბა ხებრელაშვილი, ონისე გიგაური, კახა მათიაშვილი, თემურ ტიგინაშვილი.

„შავფარიანების“ მასწავლებელი საგარეჯოელი ლევან ოქროპირიძეა. მან 1993 წელს საგარეჯოს II საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, თბილისის თოიძის სახელობის სამხატვრო ლიცეუმი დაამთავრა. უყვარს ქართული ლიტერატურა, წერს ლექსებს, ყოველთვის ეძიებს ქართულს, ეროვნულს. ამ ძიებამ თბილისის მთავარ „შავფარიანების“ გუნდში მიიყვანა სავარჯიშოდ. მიზანი ერთი ჰქონდა – შეესწავლა საბრძოლო ხელოვნება და საგარეჯოელი ახალგაზრდებისათვის გადაეცა თავისი ცოდნა.

–„შავფარიანების“ კლუბები თბილისში, გორში, ქუთაისში, ბათუმსა და ყაზბეგშია და მეექვსე ჩვენი რაიონია, – მეუბნება საუბარში ლევანი – 29 სექტემბერს თბილისში გაიმართა შავფარიანთა ეროვნული სამოსის ფესტივალი, სადაც ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა, გავეცანით აღნიშნული ქალაქების „შავფარიანთა“ კლუბების წარმომადგენლებს, მათ ჩაცმულობას და აღჭურვილობას. სიმართლე გითხრათ, გული არ დამწყვეტია, რომ ჩვენ ჯერ-ჯერობით არ გვაქვს ისეთი ტალავარი და ძველი საბრძოლო იარაღი. გვაქვს იმედი, დაგვეხმარებიან ქველმოქმედი ადამიანები, ჩვენი კლუბის წევრთა მშობლები და ნელ-ნელა შევძლებთ „ფორმაში“ ჩადგომას.

ჩვენ, „შავფარიანთა“ კლუბი „შენი სპა“ მაისში შევქმენით. აქ 18 კაცია. უფროსები 15-16 წლისები, უმცროსები 5-6 წლიანები. მოგეხსენებათ, რომ „შავფარიანების“ საბრძოლო ხელოვნება უძველესია, ძველი დროიდან მოდის. მასში არის ბრძოლაც, ხელოვნებაც, სპორტიც. ამიტომ ჩვენი კლუბის წევრი ფიზიკურადაც ძლიერი უნდა იყოს და კრიტიკულ მომენტებში სწრაფად მოაზროვნე, რადგან მას დიდი ტაქტიკისა და სტრატეგიული ნიჭის გამოჩენა უწევს ბრძოლის დროს. ბრძოლა ხმლებით, მშვილდ-ისრით, შუბებით, ცულებით მიმდინარეობს. ჩვენ 1 ხმალი გვაქვს, 1 ცული, რომელსაც მეორე მხარეს ხერხი აქვს, სამაგიეროდ ბევრი გვაქვს ხის შუბები, ხის ხმლები, უბრალო, კუსტარულად ნაკეთი მშვილდ-ისარი. რამდენიმეს აქვს ტალავარი, რომელიც აუცილებლად შესაბამისად დაქარგული უნდა იყოს, მაგრამ ეს ნაქარგობა 250 ლარი ღირს. ტალავარი მთლიანად 300 ლარი ჯდება. გავარკვიეთ ისიც, თუ ხმლების ერთობლივ შეკვეთას მივცემთ, მაშინ თითოს 50 ლარად აკეთებენ... არ შემიძლია არ გითხრათ ერთი რამ – როცა შავფარიანებს ილეთებს ვასწავლი და ვარჯიშს იწყებენ, ბრძოლის დროს ისეთ სვლას, ილეთს გააკეთებენ, ჯერ რომ არ უსწავლიათ. ესე იგი ქართველს გენეტიკაში ბრძოლის ხელოვნება უდევს...

დღეისათვის ჩვენ საგარეჯოს I საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში ვმეცადინეობთ კვირაში ორ დღეს, შაბათობით კი სათავის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ვარჯიშები. ჩემი დიდი სურვილია მოზარდები დაკავებულები იყვნენ სპორტით, ხელოვნებით, ცხოვრობდნენ ჯანსაღი ცხოვრების წესით. ვნახოთ, ვიმედოვნებ, რომ სხვებიც შემოგვიერთდებიან და გულშემატკივარიც და ხელის შემშველებელიც გამოგვიჩნდება.

**გიორგი თევდორაშვილი** – საგარეჯოს IV საჯარო სკოლის X კლასელი, კლუბ „შენი სპას“ შავფაროსანი: – მეცადინეობა მაისიდან დავიწყე. დავინტერესდი ამ საბრძოლო ხელოვნებით, ისტორიიდან ვიცოდი, რომ დავით აღმაშენებელს ჰყავდა კარგად გაწვრთნილი შავფაროსნები, რომლებსაც დღევანდელ ენაზე პარტიზანები ჰქვია. ისინი ღამით იპარებოდნენ მტრის ბანაკში, ჩუმად, უხმაუროდ, კატისებრი მოქნილობით და ისეთ ზარალს აყენებდნენ მოწინააღმდეგეს და ისეთ ფსიქოლოგიურ სტრესს იწვევდნენ მათში, რომ ხშირად მტერი აყრილა და უკანმოუხედავად გაბრუნებულა. მათ „ყარა ყალღანი“ შავფაროსნები დაარქვეს, რადგან ღამე მათი ფარები, ტალავარი, საერთოდ, იარაღი შავად ჩანდა. მეც და ჩემი დეიდაშვილი გიორგიც (დოლენჯაშვილი) დავინტერესდით და მოვედით ამ კლუბში. ჩვენ აქ ჭიდაობის ილეთებიც გვაქვს დასახვეწი, კრივშიც, სიმაღლე და სიგრძეში ხტომაშიც უნდა დავოსტატდეთ, გადაადგილება უნდა შეგვეძლოს უხმაუროდ, დიდი სიზუსტით, რადგან აქ სპორტიც არის და ხელოვნებაც და სამხედრო საქმეც. ერთი სიტყვით, აქ ყველაფერია თავმოყრილი, რასაც ქართული სპორტი და ბრძოლის ხელოვნება ჰქვია. ჩვენს ტალავარს მოქარგვასთან ერთად ჯვრებიც უნდა ჰქონდეს. ძალიან მოგვეწონა სექტემბერში ფესტივალზე მოსული თბილისელების, გორელების, ქუთაისელების, ბათუმელებისა და ყაზბეგელების ტალავარი და საბრძოლო იარაღებიც. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მშობლები და ბრძოლის ამ ხელოვნებით დაინტერესებული ადამიანები შემოგვეშველებიან და არც ჩვენ გავუცრუებთ იმედს. ვნახავთ, ამ 6 კლუბში პირველები ჩვენ ვიქნებით.

**გიორგი დოლენჯაშვილი** – საგარეჯოს I საჯარო სკოლის მეათეკლასელი: – ჩვენი მასწავლებელი ენთუზიაზმით, ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე გვასწავლის. თავად მობილიზებული, მკაცრი, მომთხოვნი, მაგრამ მეგობრული და სამართლიანია. ჩვენგან მარტო ფიზიკურ ვარჯიშს როდი ითხოვს, უნდა ვიყოთ საქართველოს ისტორიასა და ქართულ ლიტერატურაში გათვითცნობიერებული, სულიერად მტკიცენი, ეკლესიურები. ჩვენს მეცადინეობებს ლოცვით ვიწყებთ და ლოცვითვე ვამთავრებთ. ჩვენ პოპულარულს გავხდით საბრძოლო ხელოვნებას. საქართველოს პატრიარქის კურთხევაა, რომ ჩვენ საბრძოლოდ არ გამოვიყენოთ ეს ხელოვნება მშვიდობიან პერიოდში. ამჯერად პროპაგანდა უნდა გავუწიოთ, როგორც ხელოვნებასა და სპორტს.

***აი, რას წერს გიორგი კოკოშაშვილი წიგნში „ქართული საბრძოლო ხელოვნება“:***

– ცალკე განხილვის საგანს წარმოადგენს ქართული ტანსაცმლის მუქი ფერი, რაც ასევე ბრძოლაში წარმატების მიღწევას ემსახურება. ეს დაკავშირებულია ქართველთა ჩვეულებასთან - მტრის ჭარბი ძალების წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლები ღამით ეწარმოებინათ. ღამის ბრძოლებს განსაკუთრებით მთის მოსახლეობა მისდევდა. იოსებ სააკაძის პოემაში “დიდმოურავიანი” აღწერილია თარხანთან ომის წინ გამართული თათბირის სცენა, სადაც ნუგზარ არაგვისერისთავი ასეთ რჩევას აძლევს თანამებრძოლებს: “ნუგზარ თქვა: “ღამით დავესხნეთ, მთის კაცთ ეს მიყვეს რჩევანი; მრავალჯერ გაგვმარჯვებია, ასრე გვაქვს ომის ჩვევანი!” ჩვენი ბრძოლა, უმრავლეს შემთხვევაში, თავდაცვითი ხასიათისა იყო, საკუთარი სახლისა და მამულის დასაცავად გამართული, საომარი ტერიტორია ქართველი მეომრისთვის ხშირად კარგად ნაცნობ, შინაურ ადგილს წარმოადგენდა. რაც, განსხვავებით მომხდურისაგან, სიბნელეში ორიენტაციასა და დაუბრკოლებელ მანევრირებას უწყობდა ხელს. ეს კი ქართველ მებრძოლს დიდ უპირატესობას ანიჭებდა მრავალრიცხოვან მტერთან შეტაკებისას. ქართველი მხედრის ტანსაცმელი სიბნელეში ბრძოლას იყო მორგებული და შავი, ლურჯი ან შინდისფერი ქსოვილისაგან გახლდათ შეკერილი. ხევსურული ტალავარიც კი, რომელიც მრავალფეროვანი “ნაჭრელით” არის შემკული, დაბინდების შემდეგ სრულიად ეხამება გარემოს. ამის მიზეზი ისაა, რომ ტრადიციული ნაქარგობისთვის არასოდეს გამოიყენებოდა თეთრი ფერის ძაფი. ეს ზუსტად შეუმჩნევია გრიგოლ რობაქიძეს, რომელიც ხევსურული ყოფის აღწერისას ერთ ადგილას წერდა: “ერთმა რამ გამაკვირვა: არსად არ ჩანდა თეთრი ლაქა, არც ტანსაცმელზე, არც უნჯზე, არც მოწყობილობაზე. გამოუთქმელი სევდა სუფევდა ყველგან.” ცნობილია, რომ ქართველი იარაღსაც კი შავად ფერავდა, რის გამოც თურქულენოვანმა დამპყრობლებმა “ყარაყალღანები”, ანუ “შავფარიანები” შეგვარქვეს.

საგარეჯოელი „შავფარიანები“



# სახელმწიფო ხელს უწყობს ფერმერებს



საქართველოს კანონმა „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ კანონის ძალა მიიღო მიმდინარე წლის ივლისიდან. კანონი არეგულირებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფუნქციონირებასთან, სახელმწიფო ხელშეწყობასთან და მათი საქმიანობის მონიტორინგთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ კანონის ამოქმედება ხელს შეუწყობს საქართველოში საკომლო (საოჯახო) მეურნეობების შემდგომ განვითარებას, მათ კოოპერირებას და სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერებას. უკანასკნელ ათწლეულებში სოფლის მეურნეობა, რომელიც ერთ-ერთი უპირველესი დარგთაგანია საქართველოსათვის, არარენტაბელური გახდა, რის შედეგადაც სოფელი თანდათან გაღარიბდა, გაუჭირდა გლეხ-კაცს ოჯახის რჩენა, მაგრამ მიმდინარე წელს მთავრობის მიერ გამოჩენილმა დიდმა ყურადღებამ და მზრუნველობამ გლეხს იმედი ჩაუსახა, რომ მარტო, ცარიელი ხელებით არ იქნება მოსავლის საფუძვლის ჩაყრისას, მოვლა-დაბინავების დროს. ასეთი კამპანიური ხასიათის ღონისძიებებმა კი მეტად გამართა წელში გლეხი, მოაბრუნა მიწისკენ — ჯერ სტიქიისგან მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად მთავრობის დახმარებამ, შემდეგ სასოფლო-სამეურნეო ბარათებით უსახსრობის გამო მიტოვებული, ყამირადქცეული მიწების დამუშავებამ, სასოფლო-სამეურნეო იარაღების, სასუქების, შესაწამლი მასალის ჩუქებამ, ახლა რთვლის ორგანიზებულად ჩატარებამ გლეხი ადგილ-მამულისაკენ შემოაბრუნა. და, აი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნისათვის სახელმწიფოს ხელშეწყობა კი მართლაც სოფლის მეურნეობის მრავალი დარგის აღორძინებას მოუტანს საქართველოს.

დაწვრილებით კოოპერატივების მიზნებსა და კოოპერატივების წესდებაზე გვესაუბრება ***საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი ნიკო ჯავახიშვილი.***

***— ბატონო ნიკო, ამ კანონის მიზანი საოჯახო მეურნეობების განვითარება, მათი კოოპერირება და სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერებაა...***

— დიახ, ეს ასეა. ამასთან, ხელისშეწყობა ხდება სოფლისა და სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად, სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, რაც საბოლოო ჯამში მოგვცემს შედეგს — სოფლად აღმოიფხვრება სიღარიბე, შეჩერდება მოსახლეობის მიგრაცია, რაც მეტად მტკივნეულია XXI საუკუნის

## სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი — უწყვეტი ჯაჭვი — მწარმოებლიდან მომხმარებლამდე

საქართველოსთვის, ქართული სოფლებისათვის. მნიშვნელოვნად გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობა, გაუმჯობესდება კონკურენტუნარიანობა, ამაღლდება რენტაბელობა, განვითარდება ეროვნული ეკონომიკა და რაც მთავარია, აქ ხელშეწყობა მოხდება ბიოლოგიური მეურნეობის განვითარებისათვის.

***— იქნებ განმიმარტოთ, რას ნიშნავს ბიოლოგიური მეურნეობა?***

— ბიოლოგიური მეურნეობა, ეს არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მოწესრიგებული სისტემა, რომელიც ცოცხალი ორგანიზმებისა და გარემოს ისეთ ურთიერთდამოკიდებულებას უწყობს ხელს, რომლის დროსაც შენარჩუნებულია ბუნებრივი წონასწორობა (ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი).

***— კოოპერატივის საქმიანობის ძირითადი სფერო რა შეიძლება იყოს?***

— რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, მან უნდა აწარმოოს სოფლის მეურნეობის პროდუქტი, ასევე შეუძლია გადამუშავება, დაფასოება, შეფუთვა, შენახვა, გადაზიდვა და მისი რეალიზაცია, ისე, რომ მას ამ მხრივ შეზღუდვა არ აქვს, შეუძლია აწარმოოს პროდუქტი და საბოლოო სახე მისცეს მას და თავადვე მიიტანოს მომხმარებლამდე. ეს უწყვეტი ჯაჭვი მან შეიძლება შეინარჩუნოს თავისი ნების მიხედვით.

***— რას ითვალისწინებს წესდება, რა ძირითად საკითხებს მოიცავს იგი?***

— აქ პირველ რიგში აუცილებელია სავალდებულო სარეზერვო ფონდის შექმნა და განკარგვა და ეს შენატანი არ უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წლიური მოგების 15%-ზე ნაკლები; წარმომადგენელთა ან საერთო კრების მოწვევის წესსა და უფლებამოსილებებს, შენატანის (პაის) ოდენობას, წევრთა ე.წ. მეპაიეთა რეესტრის წარმოების წესს, მოგებისა და დივიდენდების განაწილების წესსა და პროცედურას, ზარალის განაწილების წესს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივსა და მის წევრს შორის ურთიერთვალდებულებების წერილობით გაფორმების წესს, ლიკვიდაციისა და ლიკვიდაციის შემდგომ დარჩენილი ქონების განაწილების წესს.

***— საინტერესოა, ვინ შეიძლება იყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრი?***

— 18 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე, რომელიც უშუალოდ უნდა მონაწილეობდეს ამ კოოპერატივის მიერ განხორციელებულ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში და ფლობდეს პაის.

***— რამდენი კაცი შეიძლება იყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრი?***

— როგორ გითხრათ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რაოდენობა იმ სოფლებში, თემებსა და დაბებში, რომელზედაც ვრცელდება „მაღალმთიანი რეგიონების სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება, არ უნდა იყოს 3-ზე ნაკლები, ხოლო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე — 5-ზე ნაკლები.

***— თუ, ვთქვათ, გავიდა რაღაც პერიოდი და კოოპერატივს, მეპაიეთა რიცხვს 1 კაცი გამოაკლდა, მაშინ რა ხდება?***

— ასეთ შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს მიეცემა ვადა — დარღვევის გამოსწორებისათვის, არა ნაკლებ 6 თვისა.

***— ხდება ისეც, რომ შეიძლება მეპაიემ, ერთ-ერთმა არ შეასრულოს თავისი უფლება-მოვალეობები, ასეთ შემთხვევაში რა ხდება?***

— მას გარიცხავენ კოოპერატივის წევრობიდან. მან თუ იკისრა თავისი ვალდებულებები, კიდეც უნდა შეასრულოს. მისი რიგებიდან გარიცხვის გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება, ხმათა უმრავლესობით. მაგრამ, საერთო კრების გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. მაგრამ, თუ თავად სურს გასვლა კოოპერატივიდან, ასეთ შემთხვევაში მოქმედი წესდების საფუძველზე მას შეიძლება შეეზღუდოს წევრობიდან გასვლის უფლება მის მიერ ფინანსური ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

***— ბატონო ნიკო, ჩვენ არ გვითქვამს არაფერი ქონების შესახებ...***

— მოგახსენებთ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ქონება იქმნება წევრთა (მეპაიეთა) შენატანით, რომელსაც პაი ეწოდება, ასევე, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული მოგებით, მიღებული გრანტით და სხვა წყაროებით. ოღონდ, ეს წყაროები აკრძალული არ უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით.. ამ ქონებას კი კოოპერატივის წესდებით დადგენილი უფლებების ფარგლებში განკარგავენ მისი მმართველობის ორგანოები.

***— საინტერესოა კოოპერატივებისათვის სახელმწიფოს მხრიდან ხელისშეწყობაც...***

— რა თქმა უნდა. საგულისხმოა ის, რომ სახელმწიფო მას ეხმარება შემდგომი განვითარების პროექტებისა და პროგრამების შემუშავებაში, უზრუნველყოფს შეღავათიანი რესურსებისა და გრანტის მიღების შესაძლებლობებში, უწევს კონსულტაციებს და აძლევს შესაბამის რეკომენდაციებს. ამასთან, ასეთი სახის კოოპერატივებისათვის სახელმწიფო ადგენს საგადასახადო შეღავათებს.

***— და ბოლოს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მოსაპოვებლად ან შეწყვეტისათვის ვის უნდა მიმართოს პირმა?***

— მან განცხადებით უნდა მიმართოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს — სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს, რომლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო და შედის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში.

---

### ვაზი, ღვინო და პერსპექტივა

## წლევანდელი რთველი და მომავლის შუქ-ნიშნები

მანავი დიდი ისტორიული და კულტურის მქონე სოფელია, მაგრამ ახლა მისი სახელი უფრო მეტად აქაური საყოველთაოდ აღიარებული ღვინის — „მანავის მწვანის“ გამოა ცნობილი. კახეთის მეფეთა სუფრის დამამშვენებელ ღვინოს, რომლის ბადალი კახეთში და ალბათ საქართველოშიც არ არის, XIX საუკუნის მიწურულიდან მოყოლებული დღევანდლამდე მრავალ საერთაშორისო დეგუსტაციაზე აქვს უმაღლესი ჯილდოები მოპოვებული. მისი ევროპული წესით დაყენებისა და პოპულარიზაციის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ქართველ მეღვინე-დეგუსტატორს ვალერიან კანდელაკს, კაცს, რომელმაც პირველმა დანერგა საქართველოში ამ ტიპის ღვინოების წარმოება.

2007 წელს იალტის საერთაშორისო სადეგუსტაციო კონკურსზე „ოქროს გრიფონი-2007“, სადაც მსოფლიოს 67 ქვეყნის პროდუქცია იყო წარმოდგენილი სს„შატო-მანავის“ მიერ წარდგენილი მანავის მწვანე, საფერავი და რქაწითელზე დამზადებული მშობლიური 8 ნომერი, ღვინოების ნიმუშებიდან უკანასკნელმა ოქროს მედალი, პირველმა ორმა კი ვერცხლის მედლები დაიმსახურა. მომდევნო 2008 წელს ოდესაში მსოფლიო მეღვინეობის ქვეყნების კონკურსზე 1200 ნიმუშს შორის წარდგენილმა სამივე ზემოთდასახელებულმა ღვინომ უმაღლესი შეფასება — ოქროს მედლები დაიმსახურა. ამ ფაქტით დადასტურდა, რომ მანავი არა მარტო მწვანის, არამედ საფერავისა და რქაწითელის უმაღლესი ხარისხის ყურძნის მოყვანისა და ღვინოების დამზადების კერაა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა პერსპექტივები ისახება მანაველი ღვინის მწარმოებლებისათვის მევენეხეობისა და მეღვინეობის განვითარებისათვის. აქ წარმოებულ ღვინოს ადვილად შეუძლია კონკურენცია გაუწიოს მსოფლიო ბაზარზე ნებისმიერი წამყვანი ქვეყნების პროდუქციას.

სამწუხაროდ, ამ უკანასკნელ დრომდე სოფელში ამ კუთხით არაფერი გაკეთებულა, პირიქით, ვენახების გაშენების ნაცვლად, სოციალური შეჭირვების გამო გლეხობამ პრივატიზებით დარიგებული ვენახები გაჩეხა და შედარებით ადვილად მოსაყვანი ერთწლიანი კულტურების მოყვანას მიჰყო ხელი, ანდა, სულაც უპატრონოდ მიატოვა მიწა. მაშინ, როცა ვენახი და ყურძენი მუდამ იყო და არის სოფლისა და აქაური გლეხკაცობის სიმდიდრე-ძლიერების მთავარი წყარო. ვენახების განადგურების ამ პროცესზე სრული წარმოდგენა რომ შეგვექმნას, შეგახსენებთ, რომ თუ გასული საუკუნის 90-იანი წლებისათვის სოფელსა და ყოფილ საბჭოთა მეურნეობაში 1500 ჰექტრამდე ვენახი იყო აღნუსხული, სადღეისოდ 379 ჰა ვენახია დარჩენილი. აქედან 222 ჰა-ზე რქაწითელი, 80 ჰა-ზე საფერავი, 77 ჰა-ზე მწვანე და სხვადასხვა ჰიბრიდული ჯიშებია გაშენებული. ერთადერთი ნათელი სხივი ვენახების გაშენებაში XX საუკუნის ბოლოსათვის გაჩნდა მანაველებისათვის, როცა „საფერავზე“ მაღალი ფასების გამო მოსახლეობამ დაიწყო ამ ჯიშის ვაზის გაშენება. სამწუხაროდ, ამასწინა ხელისუფლების პირობებში „საფერავზე“ მიზერული ფასების არსებობამ, როცა მევენახეისათვის პრობლემად იყო ქცეული ყურძნის ჩაბარება და ვერ ინაზღაურებდა მოსავლის მოყვანაზე გაწეულ ხარჯებს, ბევრს სანანებლად ჰქონდა გამხდარი ამ ვენახების გაშენება, ისე, რომ ბევრს თვალი უკვე საფერავის გაჩეხვაზე და მის ნაცვლად უფრო მაღალფასიანი ჰიბრიდული ჯიშის ე.წ. „უწამლის“ გაშენებაზე ეჭირა. ალბათ ბევრი ასეც მოიმოქმედებდა, რომ არა წლევანდელი რთველი და ჩვენებური გლეხკაცობის მიმართ ქვეყნის ახალი ხელისუფლების მხრიდან გამოჩენილი ყურადღება და მხარდაჭერა, რამაც კახელ მევენახეებთან ერთად აქაურ გლეხსაც იმედები გაუჩინა.

მანავის თემის რწმუნებულის თამარ მაზანიშვილის ინფორმაციით, წელს მანაველებმა მარტო ღვინის მწარმოებელ ქარხნებში 980.2 ტონა რქაწითელი, 868.52 ტონა საფერავი, 496.27 ტონა მწვანე და 27 ტონა ჰიბრიდული ჯიშის ყურძენი ჩააბარეს. აღარაფერს ვამბობთ მოსახლეობის მიერ ქარხნების გარეშე ყურძნის რეალიზაციის და საკუთარი საჭიროებისათვის დაწურვის შესახებ. მთავარი კი ის ფასებია, რაც წელს მათ ნაამაგარ მოსავალს ჰქონდა. კილოგრამი საფერავის ფასმა 1.05 ლარიდან 2.10 ლარამდე მიაღწია. რქაწითელში 1 ლარი, მწვანეში კი ლარზე მეტი აუნაზღაურა. წინა წლებისაგან განსხვავებით მევენახეებს ყურძნის ჩამბარებელი ქარხნების და კომპანიების ფართო არჩევანიც ჰქონდათ „ტიფლისსკიი ვინნი პოგრებ“, შპს „ჰელიო+“, შპს „ბატონო“, „ასკანელი ძმები“, კორპორაცია „ქართული ღვინო“, „გრუზვინპრომი“, „თელავის ღვინის მარანი“, შპს „კახეთი-3000“, შპს „გილენა“, სს „შატო-მანავი“ სს „სამება“... ერთი სიტყვით, კახეთში არსებული ყველა მარნის კარები ღია იყო მევენახისაგან ყურძნის მისაღებად. ამისათვის არის, რომ მანაველი მევენახეები და არა მარტო ისინი, მადლიერნი არიან ქვეყნის მთავრობისა და ღმერთისაც, რომელმაც უხვი კალთა დააბერტყა მათ ვენახებს და ბოლომდე დააცადათ უდანაკარგოდ აეღოთ მოსავალი. წლევანდელი რთვლისა და გატარებული ღონისძიების შედეგად იმდენად ამოისუნთქა მანაველმა მევენახემ, რომ არა მარტო მოსავლის აღებაზე გაწეული ხარჯები აინაზღაურა, არამედ საგრძნობი თანხებიც დაუგროვდათ ოჯახური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. — ვინ მანქანა შეიძინა, ვინ სახლები მოიწყო და ავეჯი შეიძინა. ის მევენახეები, ვინც აქამდე ათვალწუნებით უცქერდა საფერავს, ამ რთვლის შემდეგ ახალი ვენახების გაშენებაზე დაიწყო ფიქრი და ზრუნვა. ახლა სწორედ ამის სამზადისია სოფელში. ბევრმა, ვისაც აქამდე ვენახი არ ჰქონდა, უკვე დაიწო მიწის ორპირად დამუშავება ვენახების გასაშენებლად. ასეა, როცა კაცს იმედი და მოწადინება გაუჩნდება, როგორც იტყვიან, მთას გადააბრუნებს. ღმერთმა იმედი ნუ მოუშალოთ მანაველ მევენახეებს და ვნახოთ, იქნებ მომავალში კიდევ ერთხელ თქვან თავიანთი ღირსეული სიტყვა ქართული მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების საქმეში, მით უმეტეს, რომ მათ უკვე აქვთ ოქროსმედალოსანი „მწვანე“, „საფერავი“ და „რქაწითელი.“

*გივი დაბახიშვილი*

---

### მოსახლეობის საყურადღებოდ!

## ზამთარი წელიწადის ყველაზე ხანძარსაშიში დროა

როგორც მომხდარი ხანძრების ანალიზმა გვიჩვენა, მათგან 70%-ზე მეტს საცხოვრებელ სახლებში წარმოშობილი ხანძარი შეადგენს. აქედან, საცხოვრებელ სახლებში ხანძრების შემთხვევის დიდი რიცხვი სოფლებზე მოდის. ხანძრების წარმოშობის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს ელექტროგაყვანილობის გაუმართაობა, ელ. გამათბობელ ხელსაწყოებზე სახანძრო უსაფრთხოების წესების დაუცველობა, ბავშვის თამაში ცეცხლთან, დროებითი თუნუქის ღუმელის არასწორი ექსპლოატაცია და სხვა. ყოველ მეორმოცე ხანძარს ადამიანის მსხვერპლი მოსდევს.

ხანძრების 95%-ის გამომწვევი მიზეზები დაკავშირებულია ადამიანურ ფაქტორთან: სახანძრო უსაფრთხოების წესების უგულებელყოფა და დარღვევა, ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობა. სწორედ ამ უკანასკნელი მიზეზით მოხდა ხანძარი ქ. საგარეჯოში, ქეთევან წამებულის ქუჩაზე, სათავის ქუჩაზე, კიკვიძის ქუჩაზე, გიორგიწმინდაში, კაკაბეთში, დიდ ჩაილურში, და სხვა, რომლებიც მოსახლეობის, მეხანძრეთა ოპერატიული ზემოქმედებით გადარჩა და ზარალიც უმნიშვნელო იყო.

მთელი სიმკაცრით უნდა დავიცვათ სახანძრო უსაფრთხოების წესები მრავალსართულიან, საერთო საცხოვრებელ და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში. ასეთ შენობებში ხანძრის ქრობა საკმაოდ ძნელია და მას, როგორც წესი, მძიმე შედეგი მოსდევს, ამიტომ სამშენებლო ნორმები და წესები, ყველა ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნა უნდა შესრულდეს. აკრძალულია საკუჭნაოების მოწყობა დამხმარე სათავსოებსა და ტექნიკურ სართულებზე, რომლებიც განკუთვნილია საკომუნიკაციო კვანძების, გასათბობი სისტემების, წყალმომარაგების და ელდანადგარებისათვის, აგრეთვე კიბეებზე გასასვლელი გზების ამოქოლვა ან ჩახერგვა, არადაკვამლებადი კიბის უჯრედების, საჰაერო მილების შემინვა და ამოშენება. საცხოვრებელ ბინებში და საერთოდ, საცხოვრებელ ოთახებში არ დაიშვება სხვადასხვა სახის სახელოსნოების მოწყობა, სადაც ინახება და გამოიყენება ფეთქებად-ხანძარსაშიში ნივთიერებები. არ დაიშვება ადვილადაალებადი წვადი სითხეების და წვადი აირების ბალონების შენახვა აივნებსა და ლოჯიებში, სამზარეულოში და სხვა. ქურების აირით მომარაგებისათვის აირბალონის დანადგარები (12 ლიტრზე მეტი ტევადობის) უნდა მოთავსდეს გარე კედლის ყრუ ნაწილში (ყუთებში) შენობის შესასვლელთან არანაკლებ 5 მ-ის მანძილზე. შენახული ბალონების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამს.

არის შემთხვევები, როგორც ქალაქად, ასევე სოფლად, საცხოვრებელი ბინების I-II სართულებზე შეტანილი აქვთ დაქაჩული თივა, რაც ყოვლად დაუშვებელი და უბედურების საწინდარია.

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახური კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ, ვიყოთ ფრთხილად, ნუ მივატოვებთ ანთებულ ღუმელებს უმეთვალყუროდ, ნუ მივანდობთ მათ ექსპლუატაციას ბავშვებს. წესრიგში ვიქონიოთ ელგაყვანილობა და დავიცვათ ის ელემენტარული ხანძარსაწინააღმდეგო წესები, რომელთა უგულებელყოფა უბედურების საწინდარია.***

***ხანძრის შემთხვევაში დარეკეთ ტელეფონებზე: 112; 599 85 11 15; 599 85 11 16.***

*ზაქარია ოტიაშვილი,*

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის უფროსი.***

## მართლმადიდებლობა

# წმინდა მამათა გამონათქვამები

## მღვდელმსახურთა რჩევები ყოველდღიურ ცხოვრებაზე

### სქემარქიმანდრიტი ვიტალი (სიდორენკო)

– როდესაც სუფრაზე სამ კერძზე მეტია, მფარველი ანგელოზი სტოვებს ტრაპეზს.

– საჭმლის მომზადებისას იესოს ლოცვა, ან „ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ“ უნდა ვთქვათ. სხვანაირად საჭმელი გემრიელი არ იქნება.

– ყველაფრის გამო პასუხს ვაგებთ: გადაყრილი პროდუქტისთვის, ონკანიდან გაშვებული წყლისთვის, გადაგდებული ქაღალდისთვის.

– თუ ადამიანს ნუგეშს ვერ ვცემ, მაშასადამე, ვერ მოვიპოვე ის მადლი, რაც მისთვის უნდა მიმეცა.

– ლოცვის დროს გონება ლოცვის სიტყვებისაკენ წარმართე, იფიქრე იმაზე, რასაც კითხულობ, გონებაში კი მაცხოვრის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელისა და წმინდანების წარმოსახვა საჭირო არ არის.

– თუ ლოცვისას გეძინება, ფხიზელი გულით უნდა ილოცო, რათა ლოცვამ უფალთან მიაღწიოს.

– არ შეიძლება ყოველთვის ვთქვათ „შევცოდე“, ამას შეგვაგონებენ დემონები, რომელთაც ჩვენი სასოწარკვეთილებაში ჩაგდება სურთ, მაგრამ ისინი იმასაც შთაგვაგონებენ – თუ გავჩუმდებით, ჩვენს საქმეებზე, მაშინ უცოდველები ვიქნებით, რადგან არ ვლაპარაკობთ, მაგრამ გავიხსენოთ ეკლესიასტე, რომელიც ამბობს: „ჟამი არს უბნობისა და ჟამი არს დუმილისა“ (ეკლესიასტე. 3,7). განვლილი ღამისათვის – დილით, ხოლო გასული დღისათვის – საღამოს უფალს ლოცვაში შეევედრე: „მეუფეო! შემინდევ ყოველივე შენი სიწმინდის გამო და განკურნე სული ჩემი, რამეთუ ვცოდე“.

– როგორც წვიმის წვეთი კვებავს მცენარეს, ასევე განწმენდს ცრემლი სულს და ღმერთთან აახლოვებს.

– საჭიროა გაუმხილო შენი აზრები მოძღვარს, მისი რჩევის გარეშე არაფერი მოიმოქმედო და არც გეგმები დასახო. გაუმხელელი განზრახვა ცოდვაა და დასახული გეგმაც, ჩვენ კი სიმძიმის ჟამს მადლიერების გრძნობა არ გვაქვს. უფალი მადლიერებას გვასწავლის, ხოლო იგი რჩევასა და აღიარებას მოჰყვება.

– ეცადე, დილით და საღამოს მოწესრიგებულად ილოცო და ყოველი საქმის დაწყების წინ თუნდაც ასე თქვა: „მაკურთხე უფალო“, გარეშე აზრების ნაცვლად ხშირად გაიმეორე: „უფალო, შემეწიე, უფალო, დამიფარე; უფალო, მასწავლე შენი ნების აღსრულება“. ასე აღასრულე და ღმერთთან ისაუბრებ. ესაა სწორედ ლოცვა.

– უფროსებისათვის ასე უნდა ვილოცოთ: „უფალო, დალოცე ვინც მე განვიკითხე (სახელები) და მათი წმინდა ლოცვით, მე წყეული შემიწყალე“. შეასრულე 12 მცირე მეტანია და ეს ლოცვა გვასწავლა წმიდა სერაფიმემ.

– კითხულობ თუ არა ლოცვას „ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ!“ – 24-ჯერ მეტანიებით? ვის სჭირდება შეღებილი, თმაშეჭრილი, არამლოცველი?! ვინც ქუჩის მეგობარს მოიპოვებს, მისი საქმე ცუდად იქნება, ხოლო ვინც სახლში მოძებნის, წყალობა ექნება.

– თუ სულში სიმძიმეა, საჭიროა მეტი მეტანიის აღსრულება, რამდენიმე დაუჯდომელი ლოცვის წაკითხვა, იესოს ლოცვის განუწყვეტლივ კითხვა, დაითმინე, არ დრტვინავდე, ალკოჰოლი არ მიიღო, თმა არ შეიჭრა, მაშინ შეგეწევა მაცხონებელი მადლი.

## მართლმადიდებლობა

– რომ გაიღვიძებ, საქმეებზე კი არ იფიქრო, არამედ იესოს ლოცვა იკითხე, მოუხმე მფარველ ანგელოზს, დედა ღვთისმშობელს, წმინდანებს და იფიქრე, რომ – მე ობოლი არ ვარ, მდიდარი ვარ, მთელი სამყარო ჩემი დედა და მამაა. ასე მოიქეცი და ღვთის მადლი გექნებათ.

– არასოდეს დრტვინავდეთ, გიყვარდეთ, დაითმინეთ, არ განიკითხოთ და ცხოვრების გვირგვინს მიიღებთ. თუ ვინმემ გაწყენინათ და არ მოგცათ სიმშვიდე, მშვიდობა, შეუკვეთეთ მისთვის საჯანმრთელო წირვა, დაუნთეთ სანთლები, შეაგზავნეთ სეფისკვერები, გაეცით მოწყალება, დღეში 12 მეტანია აღასრულეთ ლოცვით: „დალოცეთ უფალო მონა, მხევალი (სახელი) და მისი წმინდა ლოცვებით შემიწყალე მე ცოდვილი“.

– იმკურნალეთ ავადმყოფობისას: დილით ადგომისას ერთხელ თქვით „მამაო ჩვენო“, ერთხელ, „ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ“, ერთი მეტანია, ჩაის კოვზით ნაკურთხი წყალი მიიღეთ. საღამოს ძილის წინ: ერთხელ „მამაო ჩვენო“, ერთხელ „ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ“, ერთი მეტანია, ნაკურთხი ზეთი იცხეთ მტკივნეულ ადგილზე და თქვით: „ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ“. ასე გააკეთეთ 40 დღის განმავლობაში. ეს ყველაფერი წამალია ავადმყოფობისაო, ამბობს წმიდა იოანე კიეველი.

## ღვთის სასწაული

# მირონდენა საგარეჯოში



მონაზონ ევა ოსეფაშვილის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე – დედა ევას მცხეთის სამთავროში მოღვაწეობასა და ბერი გაბრიელის (ურგებაძის) სიცოცხლის უკანასკნელ დღეებზე. სხვადასხვა დროს საუბარში დედა ევამ თავის სახლში დაბრძანებული ხატებიდან მირონდენის ფაქტების შესახებ გვესაუბრა, თან სახლშიც მიგვიპატიჟა – ჩვენი თვალითვე გვენახა მირონმდინარე ხატები.

პატარა, ერთოთახიან სახლში ცხოვრობდა მაშინ დედა ევა, შარტავას ქუჩაზე. კოპწია, პაწია ლოჯიაში მოწყობილ სალოცავ კუთხეში უამრავი ხატია განთავსებული. ხატებს მირონდენა ახლაც ეტყობა.

განსაკუთრებული სიყვარულით დედაოს ღვთისმშობლის ის ხატი უყვარს, რომელიც სქემმონაზონი დედა სიდონიას (დავითაშვილი) გარდაცვალების შემდეგ აჩუქეს. ეს ხატი „მოალერსეს“ სახელითაა ცნობილი. ხატი სამთავროში მონაზონთა კელიაში გაჩენილ ხანძარში მოჰყვა. ხატების უმეტესობა ისე დაზიანდა, მათი აღდგენა ვერ მოხერხდა, ღვთისმშობლის ეს ხატი კი, რომელსაც სადგამი ჰქონდა, ამოტრიალდა, ზემოდან ქვევით, ოღონდ ისე, რომ „თავი გადაირჩინა“ – არ დაზიანებულა. ამიტომაცაა, რომ სადგამი მას მაღლა აქვს ახლა. ხატს დღესაც ამჩნევია 2006 წელში გადმოსული მირონი. ასევე შეუმშრალი მირონი აქვს ამავე წელს გადმოსულ პოლონეთის ღვთისმშობლის, წმინდა ბასილის ხატს, მირონი აქ წმინდა ბასილის გულიდან არის წამოსული. 2010 წელს მირონი „ივერიის ღვთისმშობლის ხატს“ დაედინა, რომელმაც თითქოს ხორციელი, ცოცხალი თვალებით ანიშნა დედაოს, რომ მირონი, რომელიც ხატებთან მიდგმულ მაგიდაზედაც იღვრებოდა, მოეგროვებინა და დაელია. დედაომ ვერ გაბედა მისი დალევა... 2010 წელს სამთავროს ხანძარში მოყოლილი ხატები: „ივერიისა“, რუმინეთის, მცხეთის ხელთუქმნელი, მაცხოვრის, დოქიარის ღვთისმშობლის, მამა გაბრიელის სურათიც ისე გამოიყურებიან, თითქოს მათ ხანძარი არ შეხებოდეთ. თუმცა კელიებში გაჩენილმა იმ ხანძარმა ყველაფერი შეიწირა, თვით ამ ხატების ჩარჩოებიც, ხატების მინებიც კი დასკდა, მაგრამ უფლის განგებულებით, ხატები არც კი გამურულა.

დედა ევა მნიშვნელოვან, საინტერესო ამბავსაც მოგვიყვა: სამთავროს სქემმონაზონი სიდონია (დავითაშვილი) ინსულტის მძიმე ფორმის გამო ვერც მეტყველებდა და ცნობიერებაც დაბინდული ჰქონდა კარგა ხანს, მაგრამ ერთ დღეს ალაპარაკდა და აი, რა უამბო მონაზვნებსა და მორჩილებს – იმ მდგომარეობაში მყოფს თავისი „სასამართლო“ უნახავს საშინელი სამსჯავროს წინაშე. თურმე ყველა უსმენდა და მის მოუნანიებელ ცოდვებზე უთითებდნენ, მაგრამ მოვიდა იოანე ოქროპირი და მან ბავშვობიდანვე ჩადენილი ცოდვებიც კი მომიტევაო. სქემმონაზონმა სიდონიამ იმავე ღამეს ჩააბარა სული უფალსო, – გვითხრა დედა ევამ.

ახლა დედა ევა, მარტიდან, რუის-ურბნისის ეპარქიის ურბნისის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერშია მონაზვნად.

## ეს საინტერესოა

# ცოფი და მისი მკურნალობა ძველად

**საგარეჯოს ქუჩები ათობით უპატრონო თუ პატრონიანი ძაღლებითაა „დაპყრობილი“. არ ერიდებიან და არ ეშინიათ არავის და არაფრის, ჯგუფ-ჯგუფად დათარეშობენ და ხშირად იწევენ კიდევ ადამიანებზე. ძაღლის ნაკბენს, დადორბლვას კი რა შედეგიც მოსდევს, ყველამ კარგად ვიცით. ვერც ერთმა ღონისძიებამ ვერ გაამართლა, ვერც ცოფზე აცრამ და ვერც მაწანწალა ძაღლების დახოცვამ. მაშ რა ვქნათ? რას გვთავაზობთ, ძვირფასო მკითხველო?!**

დაავადება, რომელიც საუკუნეებს უძლებს, ყველა საუკუნისათვის ერთ-ერთ ვერაგ და ამოუცნობ დაავადებას წარმოადგენს. მას იცნობდნენ მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხები და გაურბოდნენ ისევე, როგორც კეთროვანებს. იგი დღესაც თავზარდამცემი და ყურადსაღებია თავისი სავალალო შედეგებით. თუმცა, გეტყვიან, თანამედროვე მედიცინამ მოიპოვა მისგან განკურნების მეთოდები და საშუალებები და პირდაპირ იმ შრატებით მკურნალობისკენ გითითებენ, რომელიც მედიცინამაც არ იცის ბოლომდე, თუ რა ნგრევას იწვევს ორგანიზმში. მიუხედავად იმისა, რომ ცოფის საწინააღმდეგო აცრები მასიურად მიმდინარეობს მსოფლიოში და მას კალენდრის ერთი დღეც – 27 სექტემბერი ცოფის საერთაშორისო დღედ მონიშნეს, საყოველთაო აცრები მაინც არასოდეს იღებს მართლაც საყოველთაოს – ასობით, ათასობით ძაღლი (რომლისგანაც ვრცელდება აღნიშნული დაავადება) რჩება აუცრელი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, ასე, რომ ნუ დავიმშვიდებთ გულს – 27 სექტემბერს ყველა ძაღლი აიცრა ცოფზეო...

ჩვენი წინაპრები სულაც არ იცნობდნენ იმ მეთოდებს, რასაც შრატით მკურნალობა ჰქვია, ალბათ არც დაესიზმრებოდათ, მაგრამ საუკუნეობით ხალხში დაგროვილ ცოდნას იყენებდნენ და შეძლებისდაგვარად მკურნალობდნენ „გაცოფებულ“ ადამიანებს. ჩვენ ახლა ამ მეთოდებს არ გთავაზობთ (ღმერთმა დაგიფაროთ!) უბრალოდ, გვინდა გაგაცნოთ, როგორ მკურნალობდნენ ისინი ასეთ ადამიანებს.

მათ ლექსი-შელოცვაც კი მიუძღვნეს ცოფს:

„ცოფი, ცოფი სოფელსა, ავთვალეს,
კავთელისა, ერისა, სერისა,
კბილებში მიეც ნაბდისა,
ენა მიეც სანთლისა,
ცოფი წყალში ჩავარდა,
ძაღლი გარეთ გავარდა,
ლოცვა ჩემი რგება ღვთისა“

აიღებდნენ გამომცხვარ პურს, მოაყრიდნენ მარილს და შეულოცავდნენ სამჯერ:

„ჰერი, ჰერი, სერი, სერი
ავთელი და კავთელი,
ქრისტე შენ ხარ მშველელი
შენ არგე და უწამლე... (სახელი)“

აიღებდნენ გვიმრის ბალახის ძირს, დაჩეჩქვამდნენ, გაურევდნენ წყალს და დაალევინებდნენ ღვინოს დღეში სამჯერ. დაგლეჯილზე დაადებდნენ გვიმრის ფურცლებს და დაჩეჩქვილ ფოთლებს. ლოცვას იმეორებდნენ სამჯერ (სიღნაღის რაიონი).

უძველეს ქართულ სამედიცინო ძეგლში „წამება წმიდისა შუშანიკისა“ (V საუკუნე) შემონახულია დაავადების სახელწოდება და მისი ძირითადი ნიშან-თვისება. – „ყიოდა და იძახდა, ვითარცა ცოფი“. ავტორი მიგვანიშნებს, რომ ცოფით დასნებოვნებული ადამიანი აგზნებულია, რადგან რეალურადაც ეს დაავადება ნერვული სისტემის აღგზნებას იწვევს. ალბათ აქედან შემორჩა „ცოფიანსა ჰგავდა,“ „გაცოფდა“, „ცოფიანო“.

XI ს-ში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ცოფით დაავადებული ძაღლის დიაგნოსტიკას.

„რა ძაღლი გაბრაზდების, გაშტერდების, ფერი შეეცვლების და რასაც იქს, ველარას შეიტყობს. მუდამ ირბენს და თუ დაწვების კუდს ფეხშიგა დაიჭერს და შორითა დამოკლებულს გვანდეს, პირსა პერული მოსდიოდეს, ხმა ჩაუვარდების, უფრო თუ შეიტყო ნაკბენი ბრაზიანი არის და თუ არა ეს უნდა რამე ცოტა პური ძაღლს მიუგდო, თუ არც უსუნოს და არც ჭამოს, იცოდი რომე ბრაზიანი არის, ნაკბენის სისხლი დასცხოს პურსა და თუ ჭამოს, არ არის ბრაზიანი“ („უსწორო კარაბადინი“). მოყვანილ ამონარიდში აღნუსხულია ცოფის სიმპტომები ძაღლში (ძაღლისათვის საკვების მიგდება, სისხლიანი პურის ნაჭრით ცოფის ამოცნობა).

ცოფის დაავადების აღწერილობა ადამიანში, რომელიც XIII საუკუნის სამედიცინო ძეგლში „წიგნი საექიმოშია“: „ნიშანი მისი იგი არს, რომელ რაზომთა დღეთა უკან ტანი მისი გაწითლდეს და ასოთაგან ოფლი სდიოდეს, დია, და წყლისგან დია ეშინოდეს და იქნების რომელ ძაღლივით ყბედობდეს და კაცსა შემოუტყობოდეს“. „იადიგარ დაუდში“ (XVIს) მოცემულია დაავადების სიმპტომატიკა ადამიანებში: „და ესე ბრაზიანი ძაღლი რომე კაცსა შეეხოს და ან კაცსა უკბინოს, შვიდსა დღესა უკანა მალი ხულიასავით შეიქმნების, ასრე რომ მარტოდ ყოფა მოუნდების და სინათლესა დაერიდების, ბნელსა სახლსშიგა შევარდების, ცუდმადსა ფიქრებსა იქმს და რასაც ნახავს ისევ ბრაზიანი ძაღლი ეგონების და შეშინდების და ბევრჯუელ ასრე იქნების, რომე მიწა შიგა გაგორდების და ასოები შეეშლების და მიჭრუტინა რამე მიუშვირო, თავის სახესა მიჭრუტინაშიგა ვერ გამოიცნობის და მიჭრუტინაშიგა გარე რომე თავისი თავი დაინახოს ბრაზიანი ძაღლი ეგონების და შეშინდების და იქნების რომე ხელსა და ფეხშიგა ძალი მოაკლდების, იქნების რომე ძაღლსავით ყუილს დაიწყებს და ყელი და ხახა გაუხმების, ვერ დაიყეფებს, კაცის კბენა მოუნდების და ვისაც უკბენს, ისიცა ამასავით შეიქმნების და სადამდისი წყალსა რიდებასა დაუწყებს მანამდისი ამისი წამალი ადვილი არის და თუ თვისი სახე მიჭრუტინაშიგა ვერ ამოიცნას, მას უკან მისი წამალი აღარ იქნების, და უფროსი ერთი ორმოცი დღემდისინ იქნების“.

„იადიგარ დაუდში“ მოცემულია მკურნალობის ერთ-ერთი პროფილაქტიკური საშუალება, რომელიც კვებას უკავშირდება. „ბრაზიანმა ძაღლმა რომე კაცსა უკბინოს, ასრე უნდა, ეს ბრაზიანი ძაღლი მოკლან და ამ ძაღლის ღვიძლი მოხარშონ და ამა ნაკბენსა კაცსა აჭამონ და მაშინვე ეშველების. (გვ 608).

*ქეთევან სიხარულიძე,*

***ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.***

* * *

## იადიგარ დაუდი

* ვისაც ბრაზიანმა ძაღლმა უკბინოს, ღორის ნაღველი წყლით გალესონ და ასვან; მაშინვე ეშველების. (608გვ.)

* ვინც ცხვრის ხორცი დაწვას და ბრაზიანის ძაღლის ნაკბენზედა დაიდვას, სიმწვავეს გაუგდებს და კარგად უზამს. თუ ესევ დამწვარი ცხვრის ხორცი ღვინითა გალესონ და ასვან, ეშველოს (609გვ).

* ვინც ნიახურის ძირი შუა გააპოს და ბრაზიანის ძაღლის ნაკბენზედა დადვას, სხვა და სხვა გამოუცვალოს, ზიანს და შხამს გაუგდებს და ეშველების (609გვ).

* ხმელი თევზი რომ კაცმან ჭამოს, ბრაზიანი ძაღლის ნაკბენს უშველის.

* ვინც ხვარბალი დაღეჭოს და ბრაზიანის ძაღლის ნაკბენზედა დაიდვას, მწვედ კარგი არის.

* ვინც ცერეცო მოხარშოს და ბრაზიანის ძაღლის ნაკბენზედა დაიდვას, ამისი წვენი კიდეც სვას, მწვედ კარგი არის.

* ხახვი რომე ამრიგმან კაცმან ჭამოს და ხახვი გააპონ და ნაკბენზედაც დაადვან, ბრაზიანის ძაღლის ნაკბენისათვის მწვედ კარგი არის. ვინც ეს ხახვი, ნიორი, მდოგვი, სამივე, ერთგან განაყოს და ბრაზიანი ძაღლის ნაკბენზედა დაადვას, მაშინვე უშველის.

* ვინც ნუში დანაყოს და თაფლითა მოსვრიმოს და ბრაზიანის ძაღლის ნაკბენზედა დაიდვას, ტკივილს უშველის.

* ვინც პიტნა დანაყოს, ძაღლის ნაკბენზედა დაიდვას, მაშინვე უშველის.

* ვინც ბევრი ნიორი ჭამოს, უსათუოდ ბრაზიანის ძაღლის ნაკბენს უშველის.

* ვინც ყასნი (ქალბანა) ბრაზიანის ძაღლის ნაკბენზედა დაიდვას, მწვედ კარგი არის.

* ვინც ნიგოზი, ლეღვი და სადაფის ბალახი, სამივ ერთად დანაყოს, ბრაზიანის ძაღლის ნაკბენზედა დაიდვას, უშველოს.

# მილოცვა

**დ**აბადების დღეს ვულოცავთ ***საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროს სპეციალისტს* გიორგი დვალს**. ვუსურვებთ წარმატებებს პირად ცხოვრებასა და სამსახურებრივ საქმიანობაში.

*თანამშრომლები*

**დ**აბადების დღეს ვულოცავთ ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეს* ნათელა თედიაშვილს,** ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, ყოველგვარი დაბრკოლებების გადალახვას.

*საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო*

## ჩვენს ბიბლიოთეკებში

# წიგნი — ცოდნის მდინარე

**ს**აგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილება (ყოფილი რეზო ინანიშვილის სახელობის ბავშვთა ბიბლიოთეკა) ქალაქის მერიის შენობის მეორე სართულზეა შეყუჟული. განყოფილებაში 32000 წიგნია, აქ მოსულ მკითხველს ხუთი ბიბლიოთეკარი ემსახურება. მათგან ორი – გულო დაბახიშვილი და ვერიკო კერატიშვილი სამკითხველო დარბაზის ბიბლიოთეკარები არიან, თამრიკო კუჭუაშვილი, დალი ჯანიაშვილი და ტატიანა თოფალაშვილი კი უშუალოდ ფონდსაცავის ბიბლიოთეკარები. სამკითხველო დარბაზი წელს 125 მკითხველს მოემსახურა. აქ თვალსაჩინო ადგილზეა მოწყობილი გამოფენები, სტელაჟებზე განლაგებული ახალი გამოცემები სხვადასხვა გემოვნების მკითხველს იზიდავს. საინტერესო ღონისძიებამ ბევრი მოსწავლე მოიზიდა. მათ ერისკაცის – ექვთიმე თაყაიშვილის 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით მოწყობილ ღონისძიებაზე თავი გამოიჩინეს მისი ბიოგრაფიის, მოღვაწეობის ცოდნით, ასევე, საინტერესო იყო ღონისძიებები „ზღაპრული ვეფხისტყაოსანი“ და „მასწავლებელი“ საგარეჯოს III საჯარო სკოლის მოსწავლეებთან (მასწავლებელი ნუნუ თედიაშვილი) ჩატარებული, საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის მესამეკლასელებთან ჩატარებულ ღონისძიებას კი „ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია“ (მასწავლებელი ანა არჩუაძე) პაპები დაესწრნენ, რადგან ეს ღონისძიება მათ ეკუთვნოდათ...

საბავშვო განყოფილების წიგნადი ფონდი თითქმის ყველა ასაკობრივ ადამიანს ემსახურება, მაგრამ აქ უფრო სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები, პედაგოგები მოდიან. ყველა დარგის, ყველა ჟანრის ლიტერატურაზე მიუწვდებათ ხელი აქ მოსულ ადამიანებს. ახალგაზრდები უფრო დეტექტიური ჟანრის ლიტერატურას ითხოვენ, არც სათავგადასავლო ლიტერატურას იწუნებენ VI-VII-VIII კლასელები. დიდი დაინტერესებაა ჯეკ ლონდონის, მარკესის, დათო ტურაშვილის, მაია ბურჭულაძის წიგნებზე. აქტიურ მკითხველებსაც მისახელებენ – თათია ყორღანაშვილი, მარი და ილია დურგლიშვილები, ნინო ბუზარიაშვილი, ანა ჭიკარტაძე, შალვა შაქარაშვილი, სოსო ჯანაშვილი, ლიზი და ნატა ქაიხოსროშვილები, ეთერ ბუზარიაშვილი, ლექსო თავშავაძე, მარი კრიჭაშვილი, ნინო გზირიშვილი, ეთერ ტეტიაშვილი და სხვა. განყოფილების ხშირი სტუმრები არიან პედაგოგები: თამარ ურდულაშვილი, ლალი ქაიხოსროშვილი, რომლებიც თავიანთი მოსწავლეებისათვის სათანადო ლიტერატურას ირჩევენ.

ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილება წლის ბოლოსათვის საინტერესო ღონისძიებების „საგარეჯო-50“ და „ნოდარ დუმბაძე 85 წლისაა“ ჩასატარებლად ემზადებიან.

**დასასრული**

აზერბაიჯანულ, რუსულ და თურქულ) ენებს. 2013 წლიდან კაზახ აბდულაევი საქართველოს დაწყებითი განათლების -PREID-ის ტრენერია, ფლობს კომპიუტერის საოფისე პროგრამებს. მისი დამსახურებაა ისიც, რომ 2012-2013 სასწავლო წლის სკოლის 31 კურსდამთავრებულიდან 24 ჩაირიცხა საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში, მათგან 4-მა მოიპოვა 100%-იანი გრანტი. ეს ბოლო 3 წელია სკოლის კურსდამთავრებულები სასწავლებლად აღარ მიდიან ბაქოსა და თურქეთის უმაღლეს სასწავლებლებში. დამსახურებულ პედაგოგს საამაყოდ აქვს, რომ მისი გაზრდილებიდან ბევრი გაჰყვა მის კვალს და პედაგოგობა აირჩია. მათ შორის არიან ლამბალოსა და იორმუღანლოს საჯარო სკოლების დირექტორების მოადგილეები – მამედ მამედოვი, რიზვან უსუფოვი, იორმუღანლოს საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ვუგარ მუსაბალიევი.

5 შვილისა და 10 შვილიშვილის პატრონს ეამაყება ისიც, რომ ხუთივე შვილს უმაღლესი სამედიცინო განათლება მიაღებინა. უფროსი ქალიშვილი ქამალა ბაქოში ექიმ-გინეკოლოგია, გულნარა – იორმუღანლოს პოლიკლინიკის სერტიფიცირებული თერაპევტი, ელნარა რუსეთში, ქალაქ ტვერში მეან-გინეკოლოგია, რაც შეეხება ვაჟებს – აბდულა – ლამბალოს აფთიაქის ფარმაცევტია, ასაფი – სერტიფიცირებული პლასტიკური ქირურგია. საქართველოში მუშაობის შემდეგ იგი სასწავლებლად თურქეთში ქ. სამსუნის ყაზმანის უნივერსიტეტის ასპირანტია და იქ მიღებული ცოდნის შემდეგ აპირებს საქართველოში დაბრუნებას.

მიმდინარე წლის სექტემბრიდან დამსახურებული პედაგოგის ცხოვრებაში კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით მას იორმუღანლოს საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობა დაეკისრა. ეს ტვირთი მისთვის იოლი სულაც არ არის, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ მიმდინარე სასწავლო წლისათვის აქ 1175 მოსწავლე ირიცხებოდა, რომლებსაც სასწავლო ფართის უქონლობის გამო მეცადინეობა ორ ცვლად უწევთ. ნაწილი სკოლის არსებულ შენობაში, ნაწილი კი დაქირავებულ, სკოლის ძველი ამბულატორიის შენობაში მიკროავტობუსებით გადაჰყავათ. მოსწავლეთა ამ კონტიგენტიდან 140 მარტო პირველკლასელია, რომლებიც მშობლიურთან ერთად პირველად

## რამდენიმე სიტყვა ღირსეულ ადამიანზე

# უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი, მთარგმნელი,ტრენერი...



ეუფლებიან მათთვის ჯერჯერობით უცნობ ქართულ ენას. ამას გარდა, სკოლაში პირველიდან VIII კლასის ჩათვლით გახსნილია ქართული სექტორი, სადაც სკოლის 124 მოსწავლე მეცადინეობს. სადღეისოდ სკოლაში 69 პედაგოგია, – 43 აზერბაიჯანელი 26 ქართველი.

– ჩვენი პედაგოგიური კოლექტივი ერთად შეკრული, მტკიცე კოლექტივია, მაგრამ მე მინდა უფრო მეტად დავაახლოვო ქართველი და აზერბაიჯანელი მასწავლებლები, გავაღრმავო მათ შორის კოლეგიალური დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, ჩემი უპირველესი მოვალეობაა განათლების სახელმწიფო პროგრამის განხორციელება, მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მოსწრების მიღწევა, იმ რეფორმების განხორციელება, რაც ამჟამად განათლების სფეროში მიმდინარეობს, – აღნიშნა საუბარში კაზახ აბდულაევმა, – როგორც პედაგოგსა და საქართველოს მოქალაქეს, აუცილებლად მიმაჩნია ჩვენი მოსწავლეები საფუძვლიანად დაეუფლონ ქართულ ენას, რაც მათი მომავალი წარმატებებისა და ქართულ საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრების გარანტიაა.

*გივი დაბახიშვილი*

## რაგბი

# ჩვენ ევროპის თასის მფლობელი გვყავს



**მ**ურაზ გიორგაძე ბიძაშვილის ხათრით 9 წლის მივიდა პატარძეულის გუნდ „ვეფხვებში“. სიმართლე ითქვას, მაინცდამაინც არ აინტერესებდა რაგბი, მაგრამ თანატოლ გიორგის მხარს როგორ მოტეხავდა. ვარჯიშში ნელ-ნელა მოვიდა ინტერესი და როცა რაგბის გუნდი “ვეფხვები“ საჩვენებელი გახდა ჯერ კახეთისთვის, შემდეგ კი საქართველოსთვის, მურაზიც მთელი არსებით ჩაერთო თამაშში. პირველად 12 წლის იყო, გუნდთან ერთად საფრანგეთში ფრანგ რაგბისტებს შეხვდა. მართლაც საოცრება იყო – 3 თამაშიდან სამივე მოიგეს. შემდეგ კი ვარჯიშმა, შრომამ წარმატებებიც მოიტანა – 15 წლისა უკვე საქართველოს ნაკრებ „ბორჯღალოსნებში“ იბრძოდა. და ახლაც, 18 წლის მათი გუნდის თვალსაჩინო წევრია. როცა პირველად „ბორჯღალოსნებში“ როგორც ერთ-ერთმა თვალსაჩინო წევრმა საფრანგეთში ზელანდიელებთან, ინგლისელებსა და კორსიკელებთან გაიმარჯვა, მაშინ იგრძნო, რა ძალა აქვს ქართულ რაგბს და ერთ მუშტად შეკრულ ქართველ „ბორჯღალოსნებს“. 17 წლამდე რუმინეთში გამართულ ჩემპიონატში „ბორჯღალოსნებმა“ უკრაინას და რუმინეთს მოუგეს და I ადგილზე გავიდნენ. წაგების სიმწარეც იცის მურაზმა – 18 წლამდე საფრანგეთში გამართულ ტურნირზე იტალიასთან ფინალში წაგებამ ბრძოლის ჟინი უფრო გაამძაფრა. 19 წლამდე პორტუგალიაში გამართულ ჩემპიონატზე I თამაშში ჩეხეთს „დამანგრეველი“ ანგარიშით 69:8 მოუგეს, მეორე თამაში ესპანეთს 31:3, შემდეგ ბელგიას შეხვდნენ და 29:6 მოუგეს. მურაზმა ამ ჩემპიონატში ბელგიას 1 ლელო გაუტანა, ესპანეთს – 2, ჩეხეთს 1. იგი გარემარბია, №14. როცა განვლილ თამაშს უყურებს, ხშირად უკმაყოფილო რჩება თავისი ორთაბრძოლით. ყოველთვის ითვალისწინებს თანაგუნდელთა და საკუთარ შეცდომებს და მომდევნო ბრძოლებში უფრო მობილიზებული ხდება.

– რაგბი ისეთი სპორტია, რომელიც ფიზიკურ მომზადებასთან ერთად ფსიქოლოგიურ მზადყოფნასაც მოითხოვს,– მეუბნება მურაზი,– დიდი ენერგიის ხარჯვასთან ერთად, გვიხდება ტაქტიკის, სტრატეგიის მოშველიება. ეს არის გუნდური ორთაბრძოლა, როცა ტრავმებისგანაც უნდა დაიცვა თავი და შენი თანამებრძოლიც. უნდა იბრძოლო უნარიანად, თავდაუზოგავად. წამიერად ყურადღების მოდუნება და სახიფათო ტრავმაა მოსალოდნელი. 20 ოქტომბრიდან 5 ნოემბრამდე პორტუგალიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ჩვენ I ადგილი დავიკავეთ, რის შემდეგაც გავდივართ „ალაფაზე“, შემდეგ იქნება ჰონკონგი – მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირი.

წარმატებები ვუსურვოთ მურაზსა და მის თანამებრძოლ „ბორჯღალოსნებს“.

პორტუგალიიდან გამარჯვებით დაბრუნებულ მურაზ გიორგაძეს საგარეჯოს სპორტგაერთიანების ხელმძღვანელობამ ფულადი საჩუქარი – 500 ლარი გადასცა.

## ვერხვიანი

# საქველმოქმედო აქცია

19 ოქტომბერს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ვერხვიანში სოფლის რწმუნებულის ნოდარ ბეგიაშვილის და საქართველოს ქალთა საბჭოს ორგანიზებით ჩატარდა მორიგი საქველმოქმედო აქცია, ქ. თბილისის „დედათა და ბავშვთა დიაგნოსტიკური ცენტრის“ ექიმების მონაწილეობით (დირექტორი ლალი გუჯაბიძე). აქციაში მონაწილეობდნენ ექიმები: თერაპევტი, კარდიოლოგი, ნევროპათოლოგი, ოფთალმოლოგი და დიაბეტის ცენტრის ექიმი. აქციის ფარგლებში გაისინჯა 120 ადამიანი, მათ შორის 20 ბავშვი. აღნიშნულ აქციას მედიკამენტებით დახმარება გაუწია „ავერსის“ ხელმძღვანელობამ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა თანაგრძნობას უცხადებს ნინო გამყრელიძესა და გია ფირყულაშვილს

**დედისა და სიდედრის**

გარდაცვალების გამო.

კუკური შალვაშვილის ოჯახი თანაგრძნობას უცხადებს პაატა და ეკა ასრათაშვილებს

**მამისა და მამამთილის**

გარდაცვალების გამო

## მონატრება

### ნინო შათირიშვილი



ნოემბერი დადგა და ამ თვემ კიდევ ერთხელ გაგვახსენა დედა შენი თავი.უკვე 8 წელია ჩვენთან აღარა ხარ. დაცარიელდა გული, დაცარიელდა სახლი უშენოდ. შენს ეზოს აკლიხარ, თითოეულ ხესთან და ყვავილთან შენს სახეს ვხედავთ. ტკივილით სავსეა მონატრება, უსაშველო ტკივილით. სამი შვილიშვილი გყავს და ისინი პაწია თითებით ანთებენ სანთელს შენს საფლავთან. შენს შვილებს მოაკლდათ შენი სითბო, დარიგება. გვენატრები ძალიან და გულს იმით ვინუგეშებთ, რომ აღარაფერი გტკივა და გვჯერა, რომ ცათა სასუფეველში სამარადისოდაა გაბრწყინებული შენი სული. გვენატრები და ძალიან გვიყვარხარ.

***შვილები და შვილიშვილები***

მენატრები ძლიერ<br>
და ოცნებებს ვბედავ,<br>
მეშინია არ გაფრინდეს<br>
ეს ოცნება, დედა.<br>
მესიზმრები, მიხარია, სიზმარში რომ გხედავ,<br>
მეშინია, არ გამიქრეს ეს სიზმარი, დედა,<br>
ჩემს სარკმელთან შენი ხილვა<br>
ბედნიერს მხდის, დედა,<br>
გული მწყდება, მე შენს ღიმილს<br>
რომ ვერ ვხედავ ეხლა.<br>
მენატრები უსაშველოდ, მენატრები, დედა.

*შვილი – ლია ბრძელიშვილი*

## ოთარ სანთელაძე



15 ნოემბერს 84 წელი შეგისრულდებოდა, ვაი, რომ ჩვენს გვერდით აღარ ხარ. მშრომელი, დაუზარელი და გამრჯე კაცი იყავი. უშენოდ დაიწურა ქვევრ-მარანში ყურძენი. მამა, შენი ხელი გვაკლია, შენი მონატრება გვაქვს შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილს, რომელიც შენ არ გინახავს. ენატრები მეუღლეს, ავადმყოფს, შენგან დატოვებულს. უშენოდ აღვნიშნავთ 15 ნოემბერს, შენი დაბადების დღეს – ღმერთს ვთხოვთ ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული და საფლავზე დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

*შენი ოჯახი.*

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.
ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru